ქართული პოეტები ქუთაისს

გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისის“
გამოცემა
19 ქუთაისი 47

კრებული დაიბეჭდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავის გამო

რედაქტორი
რაქიდენ გვეგაძე

კრებულის შემდგენელნი
გიორგი სამხარაძე
მიხეილ აღავიძე

ნერალ ვ. ჯანჯღავას, რომელსაც ბერლინის აღებაში თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის.

პოეტი იგონებს ვ. ჯანჯღავას აღორძინებულ ოჯახს და ქუთაისში მასთან გატარებულ დღეებს.

იგი წერს, რომ „ალე მეგობრები — თეოთონ და სიმონ ჩიქოვანი ვლადიმერ ჯანჯღავასთან ერთად გავათევთ ღამეს და მოვისმენთო გმირის თავგადასავალს.

> თან გვეტყვი, როგორ ანათებდა ელვისებრ მალი
> ბერლინის თავზე მოქნეული სტალინის ხმალი.

გ. გიასელის ლექსი „ცხრა მაისის ქუთაისი“ გამოხატავს იმ უსაზღვრო სიხარულსა და აღფრთოვანებას, რაც გამარჯვების დღესასწაულმა მოუტანა ჩვენს მშრომელებს.

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში ქუთაისში ამუშავდება უდიდესი ავტოგიგანტი. „ხუთწლედის მეორე დიდი ობიექტი, რომელიც საქართველოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს, არის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა“ (კ. ნ. ჩ ა რ კ ვ ი ა ნ ი).

საბჭოთა მწერლებმა გულისყური ამ მშენებლობას უკვე მიაპყრეს. მას ფართოდ ასახავს მხატვრული ტილო.

უძლეველი და გამარჯვებული საბჭოთა ხალხის მწერლობა ახლო მომავალში კიდევ უფრო ფართოდ გვიჩვენებს ქუთაისის გმირულ წარსულსა და მის დიადს დღევანდელობას.

იგი უდავოდ შექმნის სახელოვანი წინაპრების, უკვდავი რევოლუციონერების, სოციალისტური აღმშენებლობისა და დიდი სამამულო ომის მამაცი დევ-გმირების საბრძოლო ცხოვრების მაღალმხატვრულ ეპოპეას.

*
* *

ჩვენ თავი მოვუყარეთ ქუთაისის შესახებ დაწერილ ქართველი პოეტების რჩეულ ლექსებს.

ეს მასალა, რომელიც დღემდე არ შეკრებილა, სხვადასხვა დროს ქართულ პრესასა, კრებულებსა და პერიოდულ გამოცემებში იყო გამოქვეყნებული.

ამ კრებულში შევიტანეთ რამდენიმე ახალი, დაუბეჭდავი ლექსიც.

გიორგი სამხარაძე
მიხეილ ალავიძე

ქუთაისი ქართულ პოეზიაში

ქუთაისი მდიდარი წარსულისა და მოწინავე კულტურის მქონე ქალაქია. მას სამართლიანად უწოდებენ ქართული პოეზიის სავანეს. აქ ბევრი ცნობილი შემოქმედი აღიზარდა.

ათეულ წლობით ქუთაისში ცხოვრობდნენ და შედევრებს ქმნიდნენ სახელგანთქმული მწერლები და პოეტები: ბესიკი, მამია გურიელი, აკაკი წერეთელი, გიორგი ჭალადიდელი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, დავით კლდიაშვილი, რაფიელ ერისთავი, კირილე ლორთქიფანიძე, კიტა აბაშიძე, ცახელი, ნოე ჩხიკვაძე, სილოვან ხუნდაძე, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვანი.

ქუთაისის თემას ქართულ მწერლობაში საპატიო ადგილი უჭირავს. იგი ყოველთვის იზიდავდა მხატვრული სიტყვის ოსტატებს.

ქალაქის ისტორიულმა წარსულმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ მოღვაწეთა საქმიანობამ, სოციალისტურმა აღმშენებლობამ ფართო გამოხატულება ჰპოვა ქართულ პოეზიაში.

მრავალმა მგოსანმა სიყვარულით უმღერა მშობლიური ქუთაისის წარმტაც სილამაზეს, განახლებასა და მრავალფეროვან ცხოვრებას.

XVIII საუკუნის უდიდესი პოეტი ბესარიონ გაბაშვილი (1751—1791), რომელიც ბესიკის სახელით არის ცნობილი, თითქმის ოცი წელი ქუთაისში ცხოვრობდა და გამოჩენილ პოლიტიკურ პიროვნებად ითვლებოდა.

ადგილს, სადაც მის მამა-პაპას ბინა ჰქონდა, დღესაც „გაბაშვილის გორას“ უწოდებენ.

ფრიად განსწავლული და უცხოური ენების საუკეთესო მცოდნე პოეტი იმერეთის სამეფოში დიპლომატიურ საქმეებს განაგებდა.

ბესიკი გატაცებით ეტრფოდა მეფე დავით მეორის (გამეფდა 1784 წელს) მეუღლეს, ანა დედოფალს, რომელსაც რამდენიმე მშვენიერი ოდა მიუძღვნა.

მონა ვარ მისი მუდამ ყამს
და მისი შემამკობელი,
იგია ჩემი ხელმწიფე
და ჩემი დამადნობელი,—

წერდა პოეტი. იმერეთის დედოფლის ანას უებრო სილამაზემ და სიყვარულის ძალამ ბესიკს შთააგონა შედეევრები „დედოფალს ანაზედ", „ტანო ტატანო" და სხვანი.

მამია გურიელმა (1836—1891) სიცოცხლის უკანასკნელი წლები ქუთაისში დაჰყო. პოეტს ნატვრა აღუსრულეს: იგი დაკრძალეს ქუთაისში, ე. წ. წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, სადაც მისი საფლავი თავზე დაჰყურებს საყვარელ რიონს, რათა მას „გრგვინვა ფაზისის, მარადის მწყრალის, უდუდუნებდეს ხმას საამურსა".

სახალხო მგოსანმა აკაკი წერეთელმა (1840—1915) თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის დიდი დრო ქუთაისში გაატარა.

აქ დაიწერა მისი ცნობილი ნაწარმოებები. პოეტის გული სიკვდილამდე ქუთაისის სიყვარულით ძგერდა.

ქუთაისი ლამაზი ქალაქია. იგი ადამიანს განსაკუთრებით იპყრობს გაზაფხულზე—ვარდობის თვეში. მაისში მთელი ქუთაისი აყვავებულ ბაღს ჰგავს. აკაკის ჩვეულებად ჰქონდა ყოველწლიურად ამ დროს სწვეოდა ქუთაისს.

პოეტმა თავის მშობლიურ ადგილსამყოფელს „სავარდო და სამაისო" ქალაქი უწოდა. ეს გამოთქმა ფართოდ გავრცელდა.

აკაკი ნათლად ხედავდა ჭირნახულ საქართველოს, მძიმე განსაცდელში მყოფ სამშობლოს, ქართველი ხალხის ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას და მტარვალის მიერ გაპარტახებული ქალაქის ბედზე ჩიოდა:

მშვენიერო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო,
ვინ ყოფილა შენი მავნე,
გულს ეკალი რომ დაგისო?!

შენი ციხე-გალავანი,
ბევრჯერ სისხლით განაბანი,
მიწასთან ვინ გაგისწორა,
ერთხელ მტკიცე, ახოვანი?!

მაშინდელი ცხოვრებით უკმაყოფილო პოეტი ბომავალს იმედის თვალით შეჰყურებდა. ამ რწმენით მიმართავდა იგი მშობლიურ ქუთაისს:

...მაგრამ, ჩემო ქუთაისო,
შენაკავშირ-შენათვისო,
მოთმინება, მოთმინება,
გული სევდით არ აღივსო!..

პოემა „რაჭა-ლეჩხუმის“ (დაიწერა 1912 წელს) მეორე ნაწილში აკაკი ესაუბრება „მრავალ დროების მოწამე“ რიონს, რომელიც მას მოუთხრობს ქართლის თავგადასავალს:

ჩვენს ედემისებურ ქვეყანას არავინ ზოგავდა, არაბთა, სპარსთა და თურქთა ურდოები მას ხშირად იპყრობდნენ. ბედკრული ივერია ამირანიეით მიჯაჭვულიყო და მის გულსა და ღვიძლს ყვავ-ყორნები სწიწკნიდნენ.

აკაკი დარწმუნებულია, რომ შავბნელი დრო სანეტარო მომავლით შეიცვლება.

აკაკი წერეთლის სახელი განუყრელად უკავშირდება ქუთაისს. იგი მას მუდამ დაამშვენებს.

გიორგი ჭალადიდელი (ქოჩაკიძე; 1848—1898) ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. მისი პოეტური ქმნილებების დიდი ნაწილი ქუთაისში დაიწერა. ფართოდ გავრცელებული ლექსი „მოგონება“ პოეტმა აქ შექმნა.

გიორგი ჭალადიდელის აზრით, ბობოქარი და არაგვიანი რიონი, ბულბულთა გალობა, ციცინათელათა ფრენა და მდინარეში გამოსახული ზეციური მნათობების ხილვა ადამიანს მხნეობასა და სულიერ სიმშვიდეს მოჰგვრის (ლექსი „ციცინათელა“).

ვაჟა-ფშაველა (1861—1915) ქუთაისის საზოგადოებრიობამ ორჯერ მოიწვია და აღფრთოვანებით მიიღო.

1910 წელს დიდი შემოქმედი პირველად ესტუმრა ქუთაისს. 1913 წლის 20 თებერვალს ვაჟა-ფშაველას მონაწილეობით გაიმართა ილია ჭავჭავაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სალიტერატურო საღამო ქალაქის თეატრში, სადაც ვაჟამ წაიკითხა რამდენიმე ნაწარმოები და ახლადდაწერილი ლექსი „იმერეთს“.

სახელოვანი პედაგოგი და პოეტი სილოვან ხუნდაძე (1860—1928) განუწყვეტლივ ქუთაისში მოღვაწეობდა. აქ მიმდინარეობდა მისი მრავალფეროვანი და ნაყოფიერი ცხოვრება.

სილოვან ხუნდაძე დაუღალავად ემსახურებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის აღორძინების საქმეს. მისი პოეტური ჩანგი მუდამ ჟღერდა მშრომელთა საკეთილდღეოდ. იგი თავისუფლებას უგალობდა, ქართველ ერს პატრიოტულ გრძნობას უღვივებდა, სიმხნევეს ჰმატებდა, საბრძოლოდ მოუწოდებდა.

სილოვან ხუნდაძის კალამს ეკუთვნის ქუთაისისადმი მიძღვნილი რამდენიმე ლექსი.

აი რა განცდა ასულდგმულებდა პოეტს:

> რატომ მიყვარხარ, რად გეტრფი მარად,
> უშენოდ გული რად არი მკვდარი?
> ერთი მით, ჩემო, რომ სამშობლო ხარ,
> მეორეც—მსგავსი რომ არსად არი!..

საქართველოში იშვიათად შეეხვდებით საბჭოთა პოეტს, რომელსაც ქუთაისში არ ეცხოვროს და მასზე ნაწარმოები არ შეექმნას.

პოეტი გალაკტიონ ტაბიძე პირველად ქუთაისში ეზიარა პოეზიის მადლს.

მის ერთ-ერთ ლექსში თვალსაჩინოდ იგრძნობა ავტორის გულწრფელი განცდა:

> წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო,
> თუ მაისის ქუთაისმა გკითხოს—ვინა ხარო,
> უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ, არ უთხრა კი ვისი,
> ისეც იგრძნობს ქუთაისი, ჩემი ქუთაისი!

უსაზღვრო სიყვარულით არის შთაგონებული იოსებ გრიშაშვილის „სონეტი ქუთაისს“. მგოსანი ეტრფის „მგრძნობიარე“ ქუთაისს, რომელიც, მისივე გამოთქმით, სილამაზემ წარმოშვა.

მეორე ლექსი „მოდის ქართული ავტომობილი“ ი. გრიშაშვილმა ჩვენი ქალაქის აღორძინებას მიუძღვნა.

ქუთაისში არის კულტურის ღირსშესანიშნავი ძეგლი—ბაგრატის ტაძარი.

როგორც მის კედელზე არსებული წარწერა (ქორონიკონი 223) ამოწმობს, მას იატაკი განუმტკიცა 1003 წელს ქართლ-აფხაზეთის მეფე ბაგრატ მესამემ.

ტაძარი, რომელიც გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენდა, 1661 წელს დაანგრიეს თურქებმა.

იგი დღესაც იტაცებს მნახველის გულისყურსა და მზერას.

პოეტი გიორგი ლეონიძე ხოტბით მოსავს ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმებს:

ქვაზე ჰყვავის და არ უდრკის განსაცდელს,
ათასს უძლო, კვლავ გაუძლებს ათას წელს.

კოლაუ ნადირაძე ლექსში „ოქროს ფრინველი ბაგრატის ნანგრევებზე" იგონებს წარსულს, ბავშვობის წლებს, როცა მამა მას აცნობდა ნესტანისა და ტარიელის თავგადასავალს, ბაგრატის ტაძრის აშენების ისტორიას, ოქროს ფრინველზე შექმნილ უცნაურ ზღაპარს.

ალიო მირცხულავას ხიბლავს ქართული არქიტექტურული ხელოვნების უბადლო ძეგლები—ბაგრატისა და გელათის ტაძრები. იგი ქება-დიდებას უძღვნის მათს შემოქმედთ.

მიქელ პატარიძემ დაწერა ლექსი უძველესი ჭადრის შესახებ. მას შორეული წარსულის მოწამე შრიალით ებაასება. პოეტი ამბობს:

ათას წელს მწვანედ შრიალებ, მაინც სიცოცხლე არ გყოფნის,
ხარ უკვდავება ამ მიწის, მისი ცოცხალი ნაყოფი.

მ. პატარიძის თქმით, ჭადარს დღემდე საქართველოს დიდების ხილვის იმედმა გააძლებინა.

ხარიტონ ვარდოშვილის ლექსი „ჭადარს" პოეტის უშუალო განცდასა და დაუვიწყარ სახეებს შეიცავს.

ალექსანდრე ქუთათელს ეკუთვნის ლექსი „აკაკი ქუთაისში".

ავტორი გვიამბობს მის შეხვედრას აკაკისთან გაზაფხულზე, როცა ქუთაისი აყვავებულ ზღაპრულ ბაღს მოგვაგონებს. პოეტი ეტრფის ბუნების გაცოცხლებას, აყვავილებას. მისი თქმით, ამ სასწაულის აღწერას მხოლოდ აკაკის თილისმა შეძლებს.

ალ. ქუთათელი ბაგრატის ტაძართან ხვდება აკაკის, რომელიც

დგას და ემდურის შავ ბედს, უკულმართს,
ჩამოზვავებულს და აქ ნასტუმრებს,
ნანგრევთა შორის ხედავს ჩუქურთმას,
ქართველის გენიას რომ ადასტურებს.

აკაკი—,,მგოსნების პაპა, სინათლის ღმერთი'' აზრსა და ფიქრს მომავალს ანდობს, იმედით ცოცხლობს.

ალ. ქუთათელი ლექსს ასე ამთავრებს: ახლა როგორც ,,აკაკი დგას ქუთაისი, გაღიმებული და სამაისო''.

ვალერიან გაფრინდაშვილის სონეტი ,,აკაკი ქუთაისში'' გადმოგვცემს, თუ როგორ ამშვენებდა ქუთაისს აკაკი, რომელიც ,,წინასწარ გრძნობდა, რომ ახლოა ფოლადის კაცი და, ვით მორბედი, უმღეროდა გმირთა გმირს მარად''.

ქალაქის რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ერთ-ერთ ფაქტს გულისხმობს რაჟდენ გვეტაძის ლექსი ,,ფარული სტამბა არქიელის გორაზე''.

სტალინური მზით გაბრწყინებულ ქალაქში ახალმა ეპოქამ გრანდიოზული აღმშენებლობისა და კულტურის კერა გააჩაღა.

დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, რომლის სახელთან მტკიცედ დაკავშირებულია ქართველი ხალხის წინსვლა და გამარჯვება, წერდა: ,,ქუთაისი, თავად-აზნაურების ყოფილი ციხე-სიმაგრე, გადაიქცა საქართველოს მეორე ინდუსტრიულ ცენტრად''.

საბჭოთა პოეტებმა თვალსაჩინოდ გამოხატეს ქალაქის გარდაქმნა, აღორძინება.

წიგნში ,,რევოლუციური საქართველო'' გალაკტიონ ტაბიძე მოგვითხრობს სოციალისტური აღმშენებლობის შესახებ. მას ახარებს ინდუსტრიული ქუთაისის ერთ-ერთი მძლავრი გიგანტი რიონჰესი. პოეტის სიტყვით, იგი საბჭოთა ქვეყნის ძლიერებასა და ზრდას გამოხატავს. მწერალი უმღერის ზღვის დაბადებას რიონის გულში.

გიორგი ქუჩიშვილი მთელი ხმით ესალმებოდა უკვდავ გმირებს, რომლებმაც რიონი დაიპყრეს, რათა მისი ენერგია ემსახუროს მრეწველობის დავაჟკაცებას. მგოსნის თქმით, ქუთაისს ,,დღეს გარ-

დაქმნის და განახლების გუგუნი ჰშვენის, მზე—რიონჰესი თავზე ადგას ანთებულ თაღად''.

ლექსში „სიმღერა" დომენტი თომაშვილი რიონმშენის მუშების შრომასა და გარჯას ადიდებს. მათ გაარღვიეს მიწის გული, გაიყვანეს გვირაბი, აღმართეს კაშხალი, გზა შეუცვალეს რიონს.

პოეტი აღფრთოვანებულია, რომ ზღაპრად გადმოცემული თქმულება ჩვენს სინამდვილეში ცხადად აღსრულდა: ამირანმა ზეცას ცეცხლი მოსტაცა. ეს ლეგენდა ჩვენ განვახორციელეთ. „რიონს მალე ცეცხლად ავაგიზგიზებთ",—ამბობს პოეტი.

ბონდო კეშელავას ლექსი „რიონს" შეიცავს მომხიბვლელ შინაარს: პოეტი ხედავს, რომ რიონის ბობოქარ ზვირთებს ახალი გზა მისცეს და ელექტროენერგიად აქციეს.

აბრეშუმის ძაფსაღები ქარხნის მუშის ცხოვრებას ასახავს კონსტანტინე ლორთქიფანიძის პოემა „მუშა გამომგონებელი".

ნაწარმოების მთავარი გმირი არის ზეინკალი ნოე დარახველიძე. იგი ჩვეულებრივი მუშა კაცია, რომელიც ჩინებულად ფლობს მის სპეციალობას. იგი გამომგონებელი გახდა.

საბჭოთა ქვეყანას უთვალავი დარახველიძე ჰყავს. „გმირებად ზრდიან ჩვენი დაზგები გუშინ უჩინარ ადამიანებს",—წერს პოეტი.

რიონის შესახებ დაწერილ ლექსთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა კონსტანტინე ჭიჭინაძის „რიონის აპოლოგია", ხარიტონ ვარდოშვილის „ფაზისს" და ვალერიან გაფრინდაშვილის „რიონი."

ვალერიან გაფრინდაშვილმა ამ თემაზე რამდენიმე ლექსი დაგვიტოვა.

მისი ცნობილი ლექსი „რიონი" საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა უშანგი ჩხეიძემ 1929 წელს ქუთაისის სახელმწიფო თეატრში გამართულ კონცერტზე შეუდარებელი განცდითა და წარმატებით წაიკითხა.

ვ. გაფრინდაშვილი მიმართავს რიონს: „შენი ნანინა, შენი ხმაური ჩამწვეთებოდეს თვით სამარეში".

პოეტი ქუთაისს მუდამ ღელვითა და სიხარულით ეგებებოდა:

მე განახლებულს ვხედავ ქუთაისს,
ვუცქერ ყველაფერს ახალი განცდით,
ნაცნობ მდინარეს, ქუჩას, თუ დაისს,
ჩემთვის რომ იყო ნამდვილი განძი.

ვ. გაფრინდაშვილს იზიდავდა ფაბრიკა-ქარხნების საყვირთა ხმა, რიონჰესი, ახალი ბაღები, ქუჩები და წერდა: „სხვა სიმღერების არის საგანი ეს ქუთაისი—ნორჩი ჭაბუკი“.

ძლიერი სითბო და განცდის სიღრმე ახლავს კოლაუ ნადირაძის ლექსს „განახლებულ ქუთაისს“.

მწერალს გულწრფელად უყვარს მისი ნააკვნარი და ახალგაზრდობის ხსოვნას სათუთად დაატარებს.

იგი ხედავს, რომ ქუთაისი გამოიცვლა, აქ სხვა ცხოვრება ჩქეფს, ახალმა ეპოქამ მშრომელთა შემოქმედების ღირსება აამაღლა.

კ. ნადირაძე შეჰხარის სახეშეცვლილ ქუთაისს:

> დღეს შენი ცქერით ვარ ბედნიერი
> და აღტაცებით გული მევსება,
> რომ გაქრა ძილი შენი ხნიერი,
> რომ გაქვს ახალი სახის იერი
> და მშენებლობის ბგერა ძლიერი
> ჩემს ფიქრს და გრძნობას ეალერსება.

ქუთაისის გმირულ წარსულს, გარდაქმნასა და ძლიერებას ადიდებს გიორგი გიასელი. ქალაქი,—მოგვითხრობს პოეტი,—დიად მომავალს თავდადებული შრომითა და ბრძოლით ქმნიდა, მძიმე განსაცდელში უეცრო გამძლეობას ინარჩუნებდა, გმირებს ზრდიდა, ბნელეთის ძალებს მუსრავდა.

> კარიბჭესთან იდგნენ მტრები,
> ამირანის სულს არ თმობდი,
> შურისგების ცეცხლს ანთებდი
> და აწივებს მოუხმობდი.

ქუთაისში, ისტორიული ჭადრის ხესთან, გააშენეს ახალი ბაღი. მას ამშვენებს მგზნებარე რევოლუციონერის ალექსანდრე წულუკიძის ძეგლი.

ამ ძეგლის დადგმის გამო დავით გაჩეჩილაძე წერს:

> მხრები ვაჟკაცურ რომ გაუმართავს,
> სახეზე ბრძოლის ჩანს ჟრუანტელი,
> გასცქერს, სამშობლოს თუ როგორ ხატავს
> მის დიდ მეგობრის ფიქრთა ნათელი.

რაჟდენ გვეტაძის სონეტი „ბერლინის თავზე“ დაწერილია 1945 წლის 30 აპრილს და შეეხება საბჭოთა კავშირის გმირს გე-

აკაკი წერეთელი

ქუთაისს

მშვენიერო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო!
ვინ ყოფილა შენი მავნე,
გულს ტკალი რომ დაგისო?!.

შენი ციხე-გალავანი,
ბევრჯერ სისხლით განაბანი,
მიწასთან ვინ გაგისწორა,
ერთხელ მ[illegible]კიცე, ახოვანი?

თავს დაგყურებ აოხრებულს,
ქვით და ღიკლით რომ ივსებ გულს,
ვეღარ ვხედავ ოქროს ჩარდახს,
ერთდროს განთქმულს და დიდებულს.

ეს ფაზისი თავმომწონი,
სახეცვლილი დღეს რიონი,
გულამღვრევ[illegible]ით რას ბუტბუტებს,
გადასული დროს მომგონი?

აგონდება ოქროს კრავი,
ვით ქონება რამ უძრავი?
და მრისხანე ზვირთებზედაც
არგო, ფრთხილად მომცურავი?

შიგ იაზონ ელინებით,
ვერ შემრთველი სურვილ-ნებით,
მედეიას მომპარავი
მედიასვე მანქანებით?

სადღა არი ოქროს სილა?
შლამ-ტალახით ამოვსილა!..
ნწუხრის ზეწარს დაუფარავს
მაგის მზე და მაგის დილა!..

გარბის შენგან მგლოვიარე,
ცრემლით ირწყვის არემარე
და შავ ზღვასვე შეჰღრიალებს:
ჩემი ტანჯვა მიიბარე!..

მაგრამ, ჩემო ქუთაისო,
შენაკავშირ-შენათვისო,
მოთმინება, მოთმინება,
გული სდევდით არ აღიესო!..

1893

ქ უ თ ა ი ს ი

შშვენიერი ქუთაისი
თვით სამოთხის სადარია,
მაგრამ მისმა ხასიათმა
ჩვენში ყველა გადარია
ხან ზამთარი გაზაფხულს ჰგავს,
ხან ზაფხულში ზამთარია.
არც რიგი აქვს, არც კანონი,
კეკლუც ქალის სადარია!

შისი დარიც და ავდარიც
ბედია და ლატარია:
ვერ შეუტყობ, რა დროს რაა?
სწორედ ქალის სადარია!
უმიზეზოდ მოიღრუბლებს,
როცა მზეა და დარია!
გაგაოცებს ულოდნელად:
კეკლუც ქალის სადარია!
მყუდროების დროსაც, როცა
არც სიოა, არც ქარია,
მტვერს უეცრად შეაოგაყრის.
ანჩხლი ქალის სადარია!

ეს თვალთმაქცი ქუთაისი
ხან ტკბილია, ხან მწარეა,
მაგრამ თავისნება კია,
რადგან ქალის სადარია!

ვინც მიენდო, ჩაითრია!
ყველას ხელი მან დარია,
მეც შორიდან მიტომ მიყვარს,
რომ ქალების სადარია!

1904

რ ი ო ნ ს

პოემიდან „რაჭა-ლეჩხუმი“

—არა, რიონო! ყოფილხარ
ყოველთვის ქვეყნის ერთგული
და აწმყომ გამრუდებულმა
ვით გაგიტეხა ეგ გული.

რომ ჰფიქრობ, მაგრე არ არი,
მიჰყევ სხვა მოსაზრებასა
და ნახავ მომავლისაგან
უმაღლეს ნეტარებასა.

ხანდახან ცეცხლი გაქრება
და გაციედება კერაცა,
გგონია სახლი იღუპვის
და მისი ბედისწერაცა;

მაგრამ რომ გაჰქექ ცივ ნაცარს
და გამოუჩხრეკ მას გულსა,
იქ ნახავ ობოლ ნაკვერცხალს
მიმალულს, მივიწყებულსა;

და იმ ნაკვერცხლით ხელახლა
ააგუზგუზებ კერასა.
სახლი გათბება და ბნელიც
ნათელს ვერ აკლებს ვერასა.

ასეა ეროვნებაცა:
ზოგჯერ ის შელახულია,
მაგრამ სიცოცხლის ნიშანი
სადღაც კი შენახულია.

მოძებნა უნდა იმ ნიშანს
და ქვაკუთხედად დადება:
ის აკვანია წარსულის,
მყობადი დაიბადება.

ჩვენი ხეც ეროვნებისა
დღეს ვხედავთ ჭკნება და ხმება...
გრძნობას ჰგონია, მაგრამ კი
გონება არ ეთანხმება.

ხეს რა გააზმობს, თუ მისი
ფესვები კიდევ ვარგია
და ზედაც მისი წარსული
უტყუვრად მონაქარგია!..

1912

ვაჟა-ფშაველა

ი მ ე რ ე თ ს

ერთხანად ჩემო მძრახავო,
ლიხს აქეთურო დედაო!
გხედავ, რომ შამრიგებიხარ,
მით შენთან სალამს ვბედავო..

შაერთებულად შენშია
ქართლსა და კახეთს ვხედავო,
ფარ-ხმალო საქართველოსავ,
სხვაცა გბაძავდეს ნეტავო!

ის მომწონს, თავის ქვეყნისა
კარებს რომ მაგრად ჰკეტავო,
ვნება ნუ ასცდეს, სავნებლად
ვინაც შენ გაგიმეტაო!..

1913

ვახტანგ ორბელიანი

გ ე ლ ა თ ი

არის ადგილი, მის ბშვენებას ვერ აღწერს ხელი,
როგორც ედემის, მის აღწერა ისეა ძნელი.
მისი მშვენება ედემისა არის მშვენება,
ინ?ის მშვენების მოშორება თვალს ენანება.
დიდი შენობა მის დიდს მთაზედ არს აღმართული,
ათასის წლისა ხავსით არის იგი მორთული.
დგას დიდებულად, გულამაყად, მტკიცედ და მაგრად,
თითქოს უბრძანებს გარეშემო ხეობათ და მთათ:
აქ ვდგავარ მარტო, უმეზობლოდ, ვდგავარ ლიტონი,
მარტოც ვარ თქვენი მბრძანებელი, თქვენი პატრონი!
რა შენობაა ის შენობა?--ჰკითხეთ თვითონ მას,
ათასის წლისა თქვენ კედელი მოგცემთ თვითონ ხმას.
იმის კედელი ჯერეც მტკიცე, არ დარღვეული,
იმ შენობისა დიდებული არის რეული.
ის ჩვენ მოგვითხრობს: მე აღვშენდი ხელით ძლიერით,
ათასმა წელმა ჩემს თავზედა განვლო გრიალით.
ამ ათას წელში მრისხანებით მე მბერდნენ ქარნი,
იძროდნენ მათგან ხეობანი მთანი და ბარნი,
სეტყვა და მეხი მრისხანენი ძლიერად მცემდნენ,
ჩემს შერყევასა და დარღვევას თითქოს სცდილობდნენ.
მაგრამ, ხომ ხედავთ, აწცა მაგრად, ვით ძველად, ვდგავარ,
თუმცა ათასის წლის ხავსითა შემოსილი ვარ.
აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა ცა,
როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა,
ჩენსა წიაღში განისვენებს დიდი თამარი,
თამარ ბრწყინვალე, თამარ ტურფა და მშვენიერი,
პოეზიისა ერის გულში სხივით მორთული,
ივერიისა ძეთ დიდება და სიყვარული,
აქ განისვენებს მის სახელი—დიდი დავითი,
მათ გვამთ დიდებულთ მე ვარ მცველი, მე ვარ გელათი!,..

ᲜᲐᲤᲘᲠᲐ

მსურს მოვისვენო, გადავრჩე ტანჯვებს,
შფოთს, საყვედურებს, მღელვარებასა,
სიცილსა, თამაშს, ცრემლებს და დარდებს,
სრულად მივეცე მოსვენებასა:

მეძინოს ბაღში, მწვანით მოსილში,
მდინარე გვერდით მოჩხრიალებდეს,
და ასწლის მუხის მშვენიერ ჩრდილში
საყვარლის ხვევნა დამაამებდეს.

ფოთოლთ შრიალი ჩამომასმენდეს
სამშობლოისა ბედნიერებას,
ჩიტთა ჭიკჭიკი გამაგონებდეს
მისსა დიდებას, მისს განათლებას.

ბულბული სტვენით ჩამძახდეს მარად,
რაც გულისათვის უფრო ტკბილია,
რომ მთელ კავკასში მტკიცედ და მყარად
კეთილდღეობა დადგენილია.

და გრგვინვა ფაზის, მარადის მწყრალის,
მიდუდუნებდეს ხმას საამურსა,
რომ ორთავ სქესის, კაცის და ქალის,
გული ერთგულებს ჩვენსა მამულსა;

რომ მეფობს მხოლოდ საერთო სჯული,
საერთო ნება—ეს ორნი თანხმად;
რომ კარგ სამართალს ქვეშ ყოველი სული
ლაპარაკობენ, სწერენ თამამად;

რომ ხელუხლელნი ჩვენი ველები
პლანტაციებად გარდაქცეულან,
და უვარგისი გორები, მთები
თვით უმჯობესის ყურძნით შემკულან;

რომ ფაბრიკები და მანქანები
დაუთვლელია ყოველ სოფელში;
მანუფაქტურთა მონაგონები
მოდებსა სცვლიან ნიადაგ თვეში;

მუსიკა, მღერა სხვადასხვა ხმაზე
და თეატრები ხალხს აამებენ;
სად შეკრბებიან საღამოს ჟამზე,
ფუჭად არც ერთ წამს არ ატარებენ.

რომ რკინისა გზა ქერჩის ზურგიდან
თავრიზის კედლებს მიებჯინება,
მეორე ჯვარად ბაიბურთიდან
რუსეთის გზებსა გადაებმება;

მათი შტოები გაფანტულები
ასგან გადასჭრის ამ უცხო მხარეს.
ტელეგრაფთ ძაფებს მოაქვთ ამბები
ყოვლგნიდან, მხოლოდ ვერ სწვდება მთვარეს...

და ბეჭრს სხვას კარგსა ჩემის ქვეყნისას
ყვავილთა სული ყოველდღე მამცნობდეს,
მაშინ ვიწამებ მხოლოდ ძალს ცისას,
რომ ასრე უცხოდ განმასვენებდეს.

ეს არის ჩემი უმწვერვალესი
ნატვრა, ოცნებად გარდაქცეული.
მომეტევება, რადგან არს ლექსი
და კვლავ ბავშობის გრძნობით სეული.

გიორგი ჭალადიდელი

*
* *

შეხედე ცასა მაისის ღამეს,—
რიონის ზვირთებს დასჩერებია!
მისი მთოვარე და ვარსკვლავები
რიონის ზვირთებს კვლავ სტუმრებია.

შეხედეთ რიონს მაისის ღამეს,—
ცისა კამარას შესჩერებია,
ვარსკვლავთა ეტრფის და იმას ვერ გრძნობს,
რომ ვარსკვლავები მას სტუმრებია.

1873.

ციცინათელა

თუ გულში სევდა გაგიჩნდა,
დრომ დაგიმონა, გაგთელა,
ბედკრულმა ბედმა შეგბოჭა
და ტანჯვად დაგასახელა,

გამოდი რიონის პირზე
ოდეს ნიავი დაჰქროდეს,
ოდეს ბულბული იმღერდეს,
დაფრენდეს ციცინათელა;

ოდეს მთვარე და ვარსკვლავი
რიონში ისახებოდეს,
მაშინ დამშვიდდე სულითა,
გულმაც იმედი ამთელოს.

უფალმან ჩვენსა ტანჯვასა
უშეღავათოს, უშველოს,
დაატკბოს ქვეყნის არსება,
კაცი, პირუტყვი და ყველა.

გულსა ნიავი დაჰფრენდეს
და ეელსა ციცინათელა.

1897

სილოვან ხუნდაძე

*
* *

გორაზე ვზივარ ჩაფიქრებული,
დავსცქერ ქუთაისს აყვავებულსა:
თვისი მშვენებით ის შემომცქერის,
ნაზი ღიმილით მიხარებს გულსა.

აი ქალაქი, მწვანით მოსილი:
კიკლუც ქალივით გამოწყობილა;
უიმისოდაც ლამაზ, მხიბლავსა—
ტანთ შეუმოსავს და შემკობილა.

აი რიონიც: სისწრაფით მორბის,
ჩქეფს გულმოსული, რასღაც აპირებს...
არა, იწონებს თავს ტურფა ქვეყნით,
ეთამაშება ლამაზ ნაპირებს.

ქალაქს გარშემო ვაყოლებ თვალსა,
ვხედავ აქ გორებს, იქით—მაღალ მთებს:
ამწვანებულა ახლო გორები
და შორი მთები ჩიჩენს თეთრ თავებს.

რა ქვეყანაა, რა გრძნების მხარე!
მსგავსი შვენება სად იპოვება?..
უცხო მხარეში გული კვდებოდა,—
აქ მოველ, მსწრაფლად გულს ეცა შვება...

რატომ მიყვარხარ, რად გეტრფი მარად,
უშენოდ გული რად არი მკვდარი?
—ერთი მით, ჩემო, რომ სამშობლო ხარ,
მეორეც—მსგავსი რომ არსად არი!..

1881

რ ი ო ნ ს

ნაწყვეტი

კავკასიის მთების შვილო,
იმერეთში გამოზრდილო!
გამარჯვება, მეგობარო,
ხან მშფოთვარო, ხან ხმატკბილო!

ხან მრისხანედ მომდინარო,
ხან მღიმარო, პირმცინარო,
გთხოვ, გამიხსნა წრფელად გული,
ფიქრი შენი არ მიფარო.

ალბად ბტერი გაგონდება
და მყის გული გიღონდება,
რომ ხანდახან წყალი შენი
აშფოთდება, აგორდება.

ხედავ ნანგრევ ციხეთ კარებს
და იგონებ თურქთა ჯარებს,
როს მუსრავდნენ შენს მიდამოს—
ეს გაშფოთებს, ეს გამწარებს.

როცა მიუახლოვდები
„ოქროს ჩარდახს“, რად ღონდები?
რატომ დაგიტოვებია
ობლად მისი აწ სვეტები?

ბის ფერხთ ალარ უამბორებ,
თვალსაც კარგად არ უსწორებ,
გვერდსა უხვევ, ტალღებს მეტი
სისწრაფითა მიაგორებ.

ალბათ თვალში გესხვაფერა
მისი უცხო გამომზერა
და შიილტვი, აღარ მოგწონს
მისი ბედი, მისი წერა...

სტირი, მინდვრებს, ველთ აღონებ,
ცრემლით ოდნავ გულს იღონებ,
მაგრამ ისევ გამწარდები,
როცა მტრებსა მოიგონებ.

გაგონდება შენ მურვანი,
მისგან იმერთ სისხლის ღვარნი...
მიტომ კვნესი და ღრიალებ,
გიშფოთებენ გულს ურვანი.

შმაგობ, პირზე გადგას ქაფი,
ცხენისწყლისკენ მიისწრაფი,
თითქო გესმის კვლავ იქიდან,
მტრის ნაღარა და დაფდაფი.

ჩქარობ, მოძმეს მისცე ხელი,
რომ შემუსროთ სისხლისმღვრელი,
ტალღებს ურთერთს მიაჯახებ—
მირბი, იბრძვი, გიჟი, ხელი.

მაგრამ მალე ძმა გამშვიდებს:
„მოვუღეო ბოლო ფლიდებს“.
ამის მსმენი შენი წყალი
ძმას ეხვევა, გულში იდებს...

„აწმყოს ტანჯვაც ნუ გვაშინებს:
თუ დღეს მტერი არ გვაძინებს,—
ღმერთი სრულად არ გაგვწირავს,
მომავალში გაგვაცინებს.

შევსთხოვ, ბედკრულთ რომ გვიშველოს,
მადლით გული დაგვისველოს,
უწინამძღვროს ჩემს სამშობლოს,
ჩემს საყვარელ საქართველოს!..“

ქუთაისი გორაღან

შოდით, შეხედეთ გულმომხიბველს ამ ბუნებასა,
და სთქვით: სად ხედავთ გასაოცარს მსგავს მშვენებასა?
მორბის, მოქშუის, მოქრის მძლავრად რიონი ჩქარი:
აქ კლდოვან ნაპირთ ზვირთი ზვირთზე ებრძვის, ასკდება,

და იქ კი ქვევით, უფრო წყნარი, უფრო დამტკბარი,
მწვანე ჭალებში გულმიმტაცად მოიკლაკნება...
სთქვით: არის ვინმე--ჰქონდეს რკინის უგრძნობი გული,
რომე იხილოს ეს ბუნება აყვავებული,

მთა-ტყე-მინდორნი, სანახავნი ასგვარ-ათასნი,
ეს ადგილები მშვენებითა სამოთხის მსგავსნი,—
სთქვით: ვინ იქნება—ყოველივე ესე იხილოს—
და თუნდ ბრმა იყოს, რომ მას თვალნი არ აეხილოს?!

მაშ, მარქვით: ყოველთ მომხიბლავი ესე მშვენება—
ჩემს გულს მტირალად, თვისად მკვლელად რად ეჩვენება?
სხვისთვის საამო, სხვის დამტკბობი ეს ჩემი მხარე,
მარქვით, რად არის ჩემთვის აგრე შხამიანით მწარე?

და ეს ჰაერი მშვენიერი, ტკბილსაყნოსველი—
ჩემთვის რად არის მომწამვლელი და მოცამკელელი?..
აი ტაძარი განმაცვიფრი, გასაოცარი,
ძველ დროთა ძეგლი, წინაპართა ჩვენთ სახსოვარი.

ის უცხო ქალაქს კედლებითა უმზერს დიდებით:
დღესაც იყიდის იმას მთელად თავის დიდებით.
ბგი დაგცქერის, თქვენ ქართველნო, თვით შვილთა მაღლით—
და აწ სუსტ-უძლურთ იგივ გიცავსთ თვისითა მადლით...

და თქვენ რას შვრებით? შორიო უმზერთ იმის დაქცევას?
და მომავალი არ გაიცხავს თქვენს აბგვარ ქცევას?!
ქართველნო! იცით ჩვენა მსგავსი რას გვეუბნება?
—„მე ვარო ძველ დროთ ძლიერება, ძლევა-დიდება...

სცანით—რა იყო საქართველო, აწ რა არიო,
ნუ გშურთ—აქციოთ აღსადგენად სისხლის ღვარიო“...
ნეტა რად არის: ძველი დროის ნაშთს რომ შევსცქერი,
რისთვის ვლონდები, რად მეცვლება მე მაშინ ფერი?

თუ სხვა ქვეყნებში თავის შვილთა უტკბობენ გულსა,
რად მიშფოთებენ მე ეს ნაშთნი ნეტავი სულსა?
— იმიტომ, რომე წავახდინეთ ძველი სახელი!

იმიტომ, რომე ბაგონებენ ჩვენს ძველ მშვენებას
და აწინდელს კი აოხრებას, გადაშენებას...
აი ამიტომ მტკივა გული და მარად ვტირი,—
და გვმართებს ზრუნვა—მოვიშოროთ თავიდან ჭირი!..

1899

* *
*

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს—ვინა ხარო,

უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ,
არ უთხრა კი ვისი,
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი!...

გ ა ხ ს ო ვ ს?

გახსოვს? თიბათვის თეთრ ღამეებში,
ოდეს ნათელი მთვარის რძისფერი
გადავლებოდა ტბებს და ხშირ ტყეებს
და გამქვირვალე იყო ეთერი...

რიონის ზვირთი როგორ არხევდა
ცის ელვარებას, გულში ჩანაქსოვს,
როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი...
წარსულო დროო... ბითხარ, ხომ გახსოვს?

რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

კვლავ მიხარიან ძველი კორდიდან
რიონის ზვირთთა თვალის დევნება,
დაუცხრომლობა გაზაფხულ ისა
და ფერადების აშადრევნება.

რაღაც ახალის და კარგის ნახვით
ამიღელდება იმედით გული.
ო, მომავალზე მიმდევნო ფიქრო,
რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

სონეტი ქუთაისს

ახ, ქუთაისი! ქუთაისი! მშვენიერია,
ბაგრატის ნაშთი, დაკვალთული ტყის უსურვაზით,
მის წინ თვით მტერიც ქუდს მოიხდის კრძალვით, თავაზით,
იგი ყოველთვის წარმტაცი და მგრძნობიერია.

და მე არ ვიცი, მისი ზეცა თუ რა ფერია,
ან ეს რიონი რად ბუზღუნებს მუდამ სიბრაზით,
ან თუნდ ეს ცირა ტუჩს რად ჰკეტავს ვარდის სარაზით,
ვინ არის: ეზოს ქურციკია, თუ ტყეს ფერია.

დგას ქუთაისი მარტოდმარტო, დგას ღეთაებურად,
ტირის, თუ მღერის მხოლოდ თვისით, თავისებურად,
ის დამნაშავე არ ყოფილა, ის მართალია.

ის კოპწიაა, ვით პოეტი შემამკობელი,
სიტურფე იყო ქუთაისის დედამშობელი,
შექმნა და მასზე დარდიანმა სული დალია.

1917

მოდის ქართული ავტომობილი

რაკალიდან „ახალი ქუთაისი"

ძველად აქებდნენ ქუთათურ მაისს,
აკაკის ვარდს და ცახელის შროშანს,
უცხო დამპყრობელთ ებრძოდნენ... მაინც
არ დაუხრიათ ქართული დროშა.

განცხრა, განქარდა მწუხარე განცდა,
აღარ არიან უბედურები.
მაიაკოვსკის ზეცა გაბაცდა
და ჩაიკბილა მთის ქედურები.

დღეს განახლებულ ქუთაისს ვხედავ,
განახლებულად მოჩანს ბუნებაც:
ბაგრატის ტაძრის შრიალი ხეთა
ყურს სხვანაირად ელამუნება!

თითქოს რიონიც ჩვეულებრივი
ვერცხლის ქამარზე სხვა ტალღას ჰკეცავს;
თითქოს ვარსკვლავთა ახალი მწკრივი
მიჰშატებოდეს აქაურ ზეცას.

ირგვლივ ბარხნების ჰანგი გაისმის,
ფოლადისა და რკინის ღინება,—
აი, ეს არის ახალ მაისის
გამარჯვებული აღორძინება.

მოსკოვო! მალე შენს დიად ქუჩით,
(დღეს საქართველომ ასე ინება),—

მოხდება ჩვენი რვალის და თუჯის
ქართული ეშხით გასეირნება.

მოსკოვის ქუჩავ! გახსენი გული,
ერთ წუთს შესწყვიტე ეგ სვლა წყობილი....
—აჰა, ხელიხელ გადახვეული,
მოდის ქართული ავტომობილი!..

1947.

ს ი ვ ღ ე რ ა

რიონმშენის მუშაკთ

ორი მხრიდან იერიშით მივდივართ,
სინათლისა და მომავლის ხიდი ვართ!..
აქ ლინამოს ისმის გუგუნ-გუგუნი
და ნალმების მასთან გრიალ-ზუზუნი.

კიბულას კლდეს გააქვს ტორტმან-ზანზარი,
ძალას შევქმნით, რომ ბნელს დავსცეთ თავზარი,
ვაპობთ, ვკაფავთ, ვშიგნავთ, ვქვაბავთ, მივდივართ,
სინათლისა და მომავლის ხიდი ვართ!

ხელგოგორას მოაქვს ლორღი ნაყარი,
მას თან მისდევს მხიარული მაყარი,
ხარაჩოთი შეკრულია თაღები,
ქშინავს მკერდი, ოფლის წურვით ნაღები.

რიონი გვცემს, გვეპრძვის, ვებრძვით რიგითა
და თანდათან ვერეკებით იქითა:
შეუპოვრად სულ წინდაწინ მივდივართ,
სინათლისა და მომავლის ხიდი ვართ!

აქ ბრძოლაა, ბრძოლა მედგარ-ჩართული,
ერთსულოვან ვაჟკაცური, ქართული.
ამირანმა ზეცას ცეცხლი მოსტაცა?
ჩვენ ავახდენთ, ზღაპრად თქმულა აქ რაცა.

ბრძოლის ზათქით კლდის ხმაურში ვკისკისებთ,
რიონს მალე ცეცხლად ავაგიზგიზებთ.
ვფატრავთ, ვლადრავთ, ვკვეთავთ, ვქვაბავთ, მივდივართ,
სინათლისა და მომავლის ხიდი ვართ!..

1929

ბაგრატის ფაძარი

გქმნიდა ქართველის აზრთა დინება,
ბაგრატის .მკლავი დაუღალავი,
ქართლის ცხოვრების აღორძინება
და ერის სული შეუბღალავი.

შენ, სიყვარულის გვირგვინად თხზული,
ერის გულისთქმამ ლამპრად აგანთო,
დაგიკავშირა მან თვისი სული,
თვისი ფიქრი და ზრახვაც გაგანდო.

მაგ სიყვარულის არის გენია
ეგ ჩუქურთმები უცხოდ წნულები.
ჭაღარა თმებად გადაგფენია
ხალხის ოცნება მარად ულევი.

ეს უკვდავება, ათასწლოვანი,
რაოდენ ხსოვნად და ფიქრთ მგვრელია.
მით ეგე ნაშთი, კვლავ ახოვანი,
უფროდაუფრო საყვარელია.

ამოქმედებდა შენს ხუროთმოძღვარს
ქართლის ცხოვრების ფიქრთა დინება,
გახედე, როგორ გასცდა შენს საზღვარს
ახალი ქართლის აღორძინება!..

1945

ჭ ა ღ ა რ ი

საქარტეხილო და სანიავე
ფაფარი ცაში განგიფენია,
ბევრი გინახავს ჟამთა სიავე
და ბევრიც ზღაპრად მოგისმენია.

მრავლის მოწმე ხარ და მოტაშურე,
კვლავ ასოვანად მიმოგრხევი,
ღრუბელს რომ წვეროს გადუტყლაშუნებ,
მდელოზე ნამად გადმოიფრქვევი.

ერთხელ შენს ტოტზე სიზმრად ვიყავი,
კვლავ რამდენ გრძნობას და ფიქრებს მისევ.
მე აწ სიბერით განარიყავი,
შენ ახოვანი ისევ და ისევ...

თუმც აღარ ვიცი, რას შეგადარო,
შენც ხომ ჭაღარა, ვხედავ, გწვევია:
აბა, ეს რაა, ჩემო ჭადარო,
თითქოს ტოტები შემოგმსხვრევია.

მაგრამ სიბერე მე არ მაშინებს,
ისე როგორც შენ, ჭადარო ჩემო,
ხედავ, სიცოცხლე როგორ კვირტებს სცემს,
და იქოჩრება ჩვენს გარეშემო...

1945

ქუთაისის თეატრისადმი

აკაკის ხელით დასხმულხარ—
ვენახი ნორჩი, სვიანი,
წარსულში სახელოვანი,
აწმყოში ნათელმზიანი.
შლილხარ, ფურჩქვნილხარ, გაზრდილხარ
ამ ტურფა საწალკოტესა,
აკვანშივ დაურწევიხარ
მესხთა მოგვარე კოტესა.
ვასომ და ნუცამ გიმღერეს
შენ სიყვარული ნანათა,
გიკალმისწერა ვალიკომ,
ლადომ მზედ შემოგანათა.
კვლავ კოტემ დაგამარჯანა,
შეგმოსა ძოწის ფერითა,
და წინ გაგიძღვა ამაყად
სცენის ალამის ჭერითა.
იყავი, ხარ და იქნები
ულევდავი, სახელოვანი!
აგერ მემკვიდრეც გეზრდება
ცის ლაჟვარ-გუმბათოვანი.
იქნებ დაგრჩდილოს, მაგრამ რა?
ვიცი, არ იწყენ ამასა,
ქვეყნისთვის ისა სჯობია,
რომ შვილი სჯობდეს მამასა.
მეც ეგ მახარებს და მოხუცს
სიამით ცრემლი მდენია...
ახალი გზით სვლას გილოცავ,
ია და ვარდი გფენია!..

1946.

ვალერიან გაფრინდაშვილი

რ ი ო ნ ი

ხარ ფალავანი და ბედაური,
შენი ტალღების მიყვარს თარეში,
შენი ნანინა, შენი ხმაური
ჩამწვეთებოდეს თვით სამარეში.

სუსხიან სევდით დაუბურავი,
მუდამ დამტკბარი იისფერ მთებით,
აღტაცებული ვიყავ მცურავი,
ვუერთდებოდი შენს ტალღებს ვნებით.

თავზე ტირიფის გვირგვინი მედგა
და გავდიოდი გაღმა მხარულით.
მე შეეუტევდი შენს ტალღას მედგარს
ახალგაზრდობით და სიხარულით.

ზევიდან ჩქერებს გამოვყვებოდი,
მივცურაობდი ხიდქვეშ სიმღერით.
როგორც ისარი წყალზე ვდგებოდი,
მთვრალი ანთებულ ძარღვების ძგერით.

როგორ მიყვარდა შენი ტივები,
მათი შეხვედრა და მათი დევნა,
ბრინჯაოს ტანზე წყალის მძივები,
ღრმად ყვინთაობა და შენთან ხვევნა...

მახსოვს ბორანი ლაქვარდისფერი,
ზედ გაშლილ ქოლგით უცნობი ქალი,
შემომეზხეფა სოველი მტვერი,
სული სავსეა ტრფობით და წყალით.

პირველი გრძნობის, პირველი ფიქრის
მესაიდუმლე მუდამ იყავი.
ჩემი ოცნება ზღვისაკენ მიჰქრის,
ვით შენი ტალღა შორსგაშრიყავი.

მე ვსარგებლობდი შენი არევით,
თევზებს ვიჭერდი ჭიან ანკესით;
შენ ყურს მიგდებდი მეგობარივით,
როცა გითხარი პირველი ლექსი.

დაუშრეტელი მწვანე ველებით
მხიბლავდნენ შენი სანაპირონი;
მოგქონდა დიდი საწნახელებით
მღვრიე მაჭარი, ცის საფირონი.

როგორც დედასთან, მე შენთან მოვალ,
პატარა ბავშვის ტირილით გეტყვი:
მომიალერსე, დამიტკბე გლოვა,
კმარა სიცოცხლე სიცივით, სეტყვით.

ო, საყვარელო, კიდევ მწადიან
შენი ტალღები, შენი ფაფარი.
ჩემო ემბაზო, ჩემო გადია,
მომეცი შენთან თავშესაფარი

დაუდგრომელო, მე ისევ მინდა
ვნახო უკვდავი შენი თარეში,
ვიგემო შენი ძახილი წმინდა,
რომ გამოვფხიზლდე თვით სამარეში.

1926

ქუთაისი

ზე განახლებულს ვხედავ ქუთაისს,
ვუცქერ ყველაფერს ახალი განცდით:
ნაცნობ მდინარეს, ქუჩას თუ დაისს,
ჩემთვის რომ იყო ნამდვილი განძი.

მოგონებები ტკბილი და მწუთხე
მე თითქმის გზაზე გადამეღობა,
და ახლა ჩემთვის ყოველი კუთხე
უდრის უეცრად ნახულ მეგობარს.

მე აქ პირველად აკაკი ვნახე,
მისი ქალარით, ცეცხლის თვალებით,
მოარულ ძეგლის მას ჰქონდა სახე
და მივესალმე მეტ მოკრძალებით.

მაგრამ წარსული გადაირაზა
და ქუთაისი მიცქერს ახალი.
ვხედავ შორიდან ბაგრატის ტაძარს,
რომელსაც უმზერს კოშკი მაღალი.

აკარის მთები მაგონებს ხურჯინს,
ცის ჰორიზონტზე გადაკიდებულს,
და რიონჰესი—ამაყი ბურჯი
სინათლის რუქას ხატავს დიდებულს.

ქალაქი როგორც სიმაგრეებით,
მრავალ ქარხნებით შემოირკალა,
ცა იშმუშნება ლურჯ სარკეებით,
მოქრის საყვირი, თითქოს გრიგალ.

უწმინდეს თოვლად ცვივა ბარიტი,
დარაჯობს ქუჩას დაფნა, ასფალტი.
და ინდუსტრიის ხმა ჭეშმარიტი
გაისმის, როგორც შუადღის ალტი.

ბაგრატის ტაძრის მოჩანს საკანი,
დროთა ხანძარის გადანაბუგი;
სხვა სიმღერების არის საგანი
ეს ქუთაისი—ნორჩი ჰაბუკი.

1935

აკაკი ქუთაისში

ბაგრატის ტაძრის ნანგრევები შეენოდა ქალაქს,
მაგრამ აკაკი ამშვენებდა მას უფრო მეტად,
იგი თეთრ ხიდზე გამოვლილი გენახათ, ნეტავ,
როცა უცქერდა გარინდებით მთების იალაღს.

უკვე ჰაღარა ის აფრქვევდა სიმშვიდეს, ძალას,
ის ქვეყნის წარსულს მყობადისა სთვლიდა იმედად,
დასაკარგავად თვისი ერი ვერ გაიმეტა,
მუდამ ეძებდა ტყვე ნესტანის სამკოუელ ალაგს.

ვითა ღრუბელი შუადღისა, ვიდოდა ნაზი,
წიგნთგამყიდველთან ხშირად იჯდა, როგორც მყინვარი,
და მასთან ჰადრაკს თამაშობდა უტყვი, ბრწყინვალე.

მოწოდებული სახეების დიდ ოპიზარად,
წინასწარ გრძნობდა, რომ ახლოა ფოლადის კაცი
და, ვით მორბედი, უმღეროდა გმირთა გმირს მარად.

1940

მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი...

მაგონდება ჩუქურთმაში ყვავილი,
ბაგრატზე რომ არის გამოყვანილი.

მაგონდება მე ქართლის მწვერვალები,
მაგონდება შენი წყნარი თვალები,

შენი სახე მომთვარული და ნაზი,
შენი შუბლი იალბუზზედ ლამაზი.

შენი შუქით ჩემი გული დამზევდა,
შენ დამხურე მაისის ცა თავზედა.

და მსურს დავრჩეთ, რა დრო-ჟამიც გაივლის,
როგორც ჩარჩა ჩუქურთმაში ყვავილი.

ქვაზე ჰყვავის და არ უდრკის განსაცდელს,
ათასს უძლო, კვლავ გაუძლებს ათასს წელს.

ილო მოსაშვილი

ქართველ ხალხს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესიაზე
(1946 წლის 6 აგვისტს) წარმოთქმული სიტყვიდან

...ჟანგმოუდებელ რუსთაველის ფოლადს
რუსთველის ლექსი გაჰყვება მაყრად,
სადაც ქუთათურ ბაღნარში ხუთწლედს
მოაქვს დიდიხნის სახალხო ნატვრა:

მიდის ქართული ურემი ნელა,
ესაუბრება ურმულით ნიაგს,
მოქრის ქართული მანქანაც გზაზე
და ურმის ჩრდილი ქვეყნიდან მიაქვს.

მიაქვს, რაც დარდი უზიდავს სოფელს,
რა მძიმე ტვირთიც სწოლია გლეხკაცს,
მოვა, წაიღებს, თუ კიდევ სადმე
წარსულის ჟანგი გვარტყია ეხლაც...

რაჟდენ გეშვაძე

ბერლინის თავზე

გენერალ ვ. ჯანჯღავას

შენ თურმე იბრძვი, მეგობარო, ბერლინის ახლოს,
მე ეს გაზეთში წავიკითხე მხოლოდ ამ დილით!
ასრულდეს ჩქარა შენი ნაფერა, შენი წადილი,
ბერლინის ზღუდეც მამაცურად გადაგელახოს.

ტარიელის ტოლს მტრულად ხელი ვერავინ გახლოს,
ჰიშკართან გელის, გამარჯვებულს, დედის მანდილი
და მთვარის შუქი, ჩანჩქერივით გადმოვარდნილი,
უხვად ეფრქვევა იმერეთში შენს სამოსახლოს.

უკვე ამწვანდა ქუთაისის ყოველი კიდე
და აყვავებულ ტყემლების ქვეშ, უთუოდ, კიდევ
სიმონი და მე შენთან ერთად გავათევთ ღამეს.

როკოსოვსკიზე კვლავ გვიამბობ საოცარ რამეს,
თან გვეტყვი, როგორ ანათებდა ელვისებრ მალი
ბერლინის თავზე მოქნეული სტალინის ხმალი.

30 აპრილი, 1945

ფარული სწავება არქიელის გორაზე

საღამო იყო და ქარი ქროდა,
ქარი სივრცეში ფანტავდა ნამქერს,
უბრალო კაბა ტანზე გეკვროდა
და მიკუკვებოდით ბილიკზე ამქრებს.

ვით ვერცხლის მტვერი, ისე გეყარა
გრძელ წამწამებზე ნათოვი ფიფქი,
მდუმარედ თავი ჩამოგეხარა
შორს გატაცებულს ბრძოლებზე ფიქრით.

ქარმა თავშალი შემოგაცალა
და, როცა მკერდიც გაგიხსნა კრიალით,
შემოგახურე ნაბადი ძალად
და აცახცახდი შველის ნუკრივით.

მხრებზე გეფინა თმები ღაღანა,
გაშლილი თმებით ამორძალს ჰგავდი.
ხან დაღალული, როგორც ბაღანა,
საშიშარ გზებზე ხელში ამყავდი.

ავედით მაღლა და მოგვაგონდა,
რომ გავუსწარით წინ ამხანაგებს.
თითქოს ბროლების კედლები ჰქონდა
ბაგრატის ტაძარს, ცამდე ანაგებს.

თვით არქიელის გორიდან ბარად
ყველაფერს ეცვა სამოსი შუშის
და ნაციხართან დახეულ ბარათს
თავზე გვაყრიდა ზეცა პირქუში.

ქვეევით გაჰკონდა ქუხილი რიონს,
გოლიათებთან ბრძოლებში ნაქებს,
და სიხარულით, როგორც მაყრიონს,
ველოდებოდით კვლავ ამხანაგებს.

სახეზე გენთო მზე შორეული...
უკვე გავცილდით ბაგრატის ზღუდეს
და შენი უბე ჟინმორეული
ჰგავდა გასაფრენ მტრედების ბუდეს.

გულები ცემდნენ გასაკვირველად
და გიკოცნიდი ხელებს ნაციებს...
ეს იყო ადრე, როცა პირველად
ერთად ვბეჭდავდით პროკლამაციებს.

1928

მ ა მ ი ა გ უ რ ი ე ლ ი

როცა სიჩუმე დამყარდება მთელს ხეობაში
და არ აშფოთებს რიონს ფრთები მოვარდნილ ქარის,
სამარე ნელა გაიხსნება ,,ეაეშნით მკვდარის,
ამოვა ლანდი, თითქოს იყო ის ტყეობაში.

მას უყვარს ყოფნა დაურღვეველ მყუდროობაში
და გაცრეცილი, ქარვისფერი ნათელი მთვარის,
აღარ ეტყობა სიამაყე გურიის მთავრის,
მიმოდის უხმოდ, მოწყენილი მარტოობაში.

ბაგრატის ტაძრის ძველ ჩუქურთმებს შეახებს თითებს,
და გაიხსენებს საქართველოს დიდების მითებს.
ხან აგონდება მარიამი, ხან კახაბერი.

ოდეს მიდამოს გარიჟრაჟით ეცვლება ფერი,
უკანასკნელად სიყვარულზე წარმოთქვამს ოდებს
და შემდეგ წავა, ეფარება საფლავთა ლოდებს.

1917

ვარლამ რუსაძე

ქუთაისს

•

გეფინა გულზე სილამაზე უქნობ ყვავილად,
არწივის ხედვით დაგყურებდა თავზე ბაგრატი
და გიგზავნიდა ცივ ჯიბულას ნწვანეყვავილა!
ხომ გახსოვს ოქროს მაღყლოვანი ვერძი, ნახატი?

სულ ამაყობდი მთებითა და დიდი წარსულით,
სულ თვალწინ გიდგა გელათი და მისი სახატე.
იყავი უღრან ლურჯ მუხნარით შემოგარსული,
ფეხთქვეშ გეფინა ია-ვარდის ნაზი კონები,

ისე ხატულხარ, ვით ძვირფასი ნოხი სპარსული.
მუდამ გხიბლავდა ყელით ყელზე გადაკონებით
გიჟი რიონი; რომ მოჰხტოდა ქიმთ კოწოლებზე,
მაგრამ ვერ გრძნობდი, ვით კვნესოდნენ შენი მონები.

დღეს კი გახარებს რიონჰესი მწვანე კოცონებით,
რომ გაუმართავს შეჯიბრება ცხრათვალა მზესთან
და იცქირები მომავლისკენ თავმოწონებით,
სიტყვა და საქმე გადაშლილა შენს კარიბჭესთან.

1934.

ქრისტანგინე ჭიჭინაძე

რიონის პეპოლოგია

ნაწყვეტი

„აქ ალკეოსმა თქვა სიტყვა ასეთი:
„ამგვარად, ჩვენ მივადექით კოლხეთის
ნაპირს და ფაზისის დენას“.

აპოლ. როდოსელი

„ო, თუნდაც ისტრი და ფაზისი გაერთიანდნენ
და თავიანთი ბრგე ტალღებით წალეკონ თებე“...

სოფოკლე

,,Is quoque Phasiacas Argon qui eluxit in undas
Non potuit Veneris furta tacere suae“.

p. Ovidi Nasonis

შენი სათაყვე ვინახულე დღეს მეორეჯერ,
აქ შენ სახელად უსათუოდ გშვენის ფაზისი.
მესვრი თვალებში კალმახების წითელ ფორეჯებს
ბავშვის ცრემლებზე უწმინდესი და უნაზესი.
პეშვით დავლიე შენი წყალი რძესავით ჩვილი,
და შენი ფსკერი ნაცრისფერი ქვით მოოქვილი
მეალერსება დაბინდული აკამკამებით.
აქ შენი დენა ქაფიანი და ნაჩქარები,
ხან ანთებული ოქროსფერი შუქის ღვარებით,
ხან ფერწასული ყრუ ხევების შუქ ჩაღამებით,
ამწვანებული დაღმართებით მიექანება...
მაგრამ მინახავს სხვა სეირიც... მაშინ, როცა მე
შენი მქუხარე ამბოხების გავხდი მოწამე.
და სტრიქონებიც დაგიმზადე სხვადასხვაგვარი:
ხან ულბილესად მოხაზული, ხან წელმაგარი,
ვით აბრეშუმი და ველური ტახის ჯაგარი.

ეს მოხდა შარშან. შემოდგომის ცბიერი სენი
გულს უხიბლავდა არემარეს ყვითელ ქარვებით.
ნელი სიამით და ნაღველის ჩუმ მოქარვებით
დობილებივით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს დღენი.
უკანასკნელი გაღიმებით სუნთქავდა ველი
და დასუსტებულ ტყეს ეძინა მკვდარ მოსვენებით.
შენს მოგონებას იტაცებდა ამბავი ძველი:
ძვირფასი ვერძი, მედეა და არგოსელები.
და ამ ოცნებას წარსულზე და ოქროს სილაზე
ფრთხილი ნაბიჯით დაგირღვევდენ სისხამ დილაზე
შენთან სასმელად ჩამოსული ჯიხვთა ფურები.
ხოლო, როდესაც, დანაკვთული შავ კონტურებით,
შემოღამებულ ცის გუმბათზე წვებოდნენ მთანი,
თავისი ჩქარი მეძებრებით და შვილდიანა
იალაღებზე ადიოდა თეთრი დიანა,
რომ ნადირობით დაექანცა უვნებო ტანი.
მაგრამ ერთბაშად ცამ ფარჩების ლურჯი მარმაში
თითქოს გასცვალა მუქ ნაბდებში და ძველ ნარმაში
და დედამიწას ზედ დაემხო როგორც როდინი.
სადღაც ყორანი გადაფრინდა მოკლე ხროტინით.
შავ კარნაეალად გაიშალა რისხვა ფარული
და საშინელი დამძიმებით ვავარდა მეხი;
გლოლის ნაძვნარმა დაიგმინა მეტ სიხარულით,
როდესაც ელვამ გაანათა ნერვიულ გრეხით.
დაბლა მოიწივს ცა მუქარით და დაფეთებით;
შძლავრი გუგუნით ახმაურდნენ ტოტები მუხის;
ძირს დაცემის დროს ფრთებსა შლიან წვიმის წვეთები,
როგორც ურიცხვი წიწილები გიგანტურ კრეხის.
ფაფარაყრილი ღელეები ჩადგნენ კვალებში,
მაგრამ ასცილდნენ კალაპოტებს და ვით ლომები,
საბედისწერო გაქანებით და ნახტომებით,
თავბრუდასმული გადაეშვენ ბნელ ნაპრალებში.
ტორტმანობს ნისლის ოკეანე ურიცხვ ჯარებად
და მთების კალთებს ეფინება ნელ შეჩერებით;

ღრმა შუროები გადაიქცნენ ისეთ ღარებად,
თითქოს ჩამოდნენ დაუშრეტელ ნიაღვარებად.
კავკასიონის თეთრი თოვლი და გლეტჩერები.

შემდეგ, ქუხილით ჩაიარე საირმის კლდენი!
შემდეგ მექვენა, ქუთაისი... ურტყამ ჩაქუჩებს,
ყალყზე ამდგარმა თეთრი ხიდი გალოკე ღრენით,
და ზარდაცემულ ბალახვანის სახლებს და ქუჩებს
თავზე განგაშით გადასცილდნენ ზვირთების წრენი.

1923

ლადო ბზეანელი

ქუთაისი

ჩამოვედი, გინახულე,
მშობლიურო ქუთაისო,
სიხარულით და სიამით
ჩემი გული კვლავ აივსო.

გამოცვლილხარ, წინ წასულხარ,
იზრდები და ლამაზდები,
შენ იხარე, შენ იდიდე,
გშვენის დილა გამარჯვების!

ცოცხალი ვერ დაგივიწყებ,
მომინდები, ჩამოგივლი,
დაღლილ ნერვებს დავიწყნარებ,
შენს უბნებში რომ გავივლი.

1945

ქუთაისი

როგორ განახლებულა
ეს ჩვენი ქუთაისი,
შრომა გაჩაღებულა
და მედგარი ხმა ისმის.

აქ აღარც ტალახია,
აღარც სადმე მტვერია,
დაფნასა რგაეს ხალხი და
გიგანტები მღერიან.

დღეს მშრომელთა მკვლავებით
სამრეწველოდ ქცეულა;
ელექტროვარსკვლავები
ყველგან მიმობნეულა;

რა რიგად გამოცვლილა,
მთელი მოსახლეობა,
მოდის ძლევამოსილად,
მოაქვს ცოდნა-მხნეობა.

ახალი პოეტებიც
ახალ ჰანგზე მღერიან;
მეც ექსტაზით ვენთები,
ახლა ჩემი ჯერია!

1934

ჩემი სალამი იმერეთს!

შენზე სიმღერას ვნატრობდი და,
აჰა, დავძახე,
მხარეე, შრიალა ზღვა სიმინდთა
მხარეე, მზიანო,
ისე შეგცვლია მშენებლობით
წარსული სახე,
რომ ძლივსღა გიცან,
იმერეთო, თავაზიანო!
სადღაა შენი იდილია
და მყუდროება,
სადღა არიან ჩოხოსნები
ლეკურ-სატევრით?
გამქრალან,
როგორც გაჰქრა მათი
ფუჭი დროება,
ფუქსავატობით,
მცონარობით,
მიმინო-მწევრით.
შენც, ქუთაისო,
წარსულში თუ
გარემო შენი,
იყო ქცეული
ფეოდალურ სალხინო ბაღად,
დღეს გარდაქმნის და
განახლების გუგუნი გშვენის,
მზე—რიონჰესი
თავზე გადგას
ანთებულ ათლად.

ჰოი, იმერო,
დიდ ეპოქის
შეაღე კარი
და მშობლიური ინდუსტრიის
ცეცხლი გედება,
თვით
ჩემი ლექსის
სიტყვა თუ ბწკარი
შენსავე ცეცხლში
იბადება და იქედება...
თქვენ, ვინც რიონი დაიპყარით
სტალინურ სალტით,
რომ ამსახუროთ
მრეწველობის დავაჟკაცებას,
ვინც ქუთაისი დაამშვენეთ
დუღაბ-ასფალტით
ჩემი სალამი, ვაშა, ტაში
და აღტაცება!..

1945.

ალიო ჭირცხულავა

მ ი ნ ი ა ტ უ რ ე ბ ი

ქუთაისი მაისში

აი, ქუთაისი, ჩემი ქუთაისი,
ცას რომ შეჰღუღუნებს ქარხნის ავილებით,
თუმც არის მაისის მხურვალე დაისი—
ხეებს შერჩენია თოვლი ყვავილების.

შენ რაღას იტყვი, რიონო!

წვიმებმა, იქნებ, ნიაღვრით
ხევები გადარეონო,
ამდგარა მტკვარი, ლიახვი,
შენ რაღას იტყვი, რიონო?!

გ ე ლ ა თ ი

გახსოვს გელათი? აგერ ის არის,
შედი, შეაღე კარის ფიცარი,
მაცხოვრის ხატთან ღვთისმოფიცარი
ხელაპყრობილი დგას ოპიზარი.

1938

ᲙᲝᲚᲐᲣ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔ

ᲒᲐᲜᲐᲡᲚᲔᲑᲣᲚ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲡ

შენს აყვავებას ვესწრები კიდევ,
კიდევ ვუცქერი გაზაფხულს შენსას,
მაგრამ სანამდე ბედი გაგვყრიდეს,
სანამ რტოები ყვავილს დაყრიდეს,
მინდა სიმღერა ლექსებად მკიდეს
შენდამი ტრფობას გულში ნაშენსა.

ბავშობიდანვე, როცა არტახებს
მთრთოლვარე ხელით ამხსნიდა დედა,
თვალებს ვაპყრობდი შენს ზეცის თაღებს
და თუ სიმღერა გულის კარს აღებს,
ოქროს სიტყვებად ის დაალაგებს,
გაჩენის დღიდან რაც დამებედა.

რა ვქნა, რა რიგად, როგორ ჰანგებად
გადაგაფრქვიო ეს ტრფიალება.
შენთან წარსული არ მეკარგება,
რადგან დედის რძედ მაქვს შენარგები,
შენი ბუნება ტურფად ნაგები,
შენი მთვარის და მზის ელვარება.

ჩემი ბავშობა, დავაუკაცება,
ხელში პირველი პურის ნატეხი,
პირველი რწმენა და გატაცება,
ცხოვრების გზაზე მწარე დაცემა,
ლექსით პირველი დაბარბაცება
და სიყვარულის პირველი მეხი.

ეს იყო წინად, ჩემო ქალაქო,
დღეს შენი სახეც გამოიცვალა.
გაზაფხულების ტურფა ალაგო
შენ სხვა ცხოვრება უნდა ააგო,
რომ მომავლისთვის გახდე საეარგო,
რომ საქართველოს გადიქცე თვალად.

მე შენი ცქერით ვარ ბედნიერი
და აღტაცებით გული მევსება,
რომ გაქრა ძილი შენი ხნიერი,
რომ გაქვს ახალი სახის იერი
და მშენებლობის ბგერა ძლიერი
ჩენს ფიქრს და გრძნობას ეალერსება.

და როცა წლები დამათოვს თავზე
და ვერცხლის სიმებს უხვად გააბამს,
მე მოგონება მომგვრის სინაზეს
და შვილიშვილებს ჩემს ძველ ბინაზე,
ვუამბობ წარსულ შენს სილამაზეს,
როგორც შორეულ და ზღაპრულ ამბავს.

1936

ოქროს ფრინველი ბაბრაჯის ნანგრევებზე

რიონის პირას შავად მოჩანს ნანგრევი ტაძრის,
კედლებს ყოველმხრივ მოსდებია სურო და ხავსი.
ქარი ვერანი, უბინადრო მათ შორის დაძრწის,
ქვებსა და ფოთლებს კაეშნიან ხმაურით ავსებს.

როს შემოდგომის ღამეები ბერტყავდნენ ნახშირს,
როცა ელვები თეთრი შუბით წყვდიადს აპობდნენ,
პატარა ბავშვი მე ვიჯექი ბუხართან სახლში
და ჩემს სიცოცხლეს სტიქიონის ხმები ატკბობდნენ.

გაშლილი წიგნი სურათებით მუხლებზე მედვა,
ცეცხლის ენები აკრთოლებდნენ ფურცლებზე ლანდებს.
--მიამბე, მამა, რად გასწირა ნესტანი ბედმა,
ან როგორ ჰკრეფდა ვარძიაში თამარი ვარდებს?

მიამბე, მამა, ვინ ააგო ტაძარი დიდი,
ან რისთვის ჯდება მის კედლებზე ოქროს ფრინველი,
როცა ქარბუქის შემოტევა ქოხებზე მიდ-ს,
რომ შეანგრიოს მათ ფუძე და საძირკველი...

და მამაჩემი მეოცნებე მითხრობდა მაშინ
ოქროს ფრინველზე დაუვიწყარ, უცნაურ ზღაპარს,
რომ იგი მგზავრებს უბინადროს შუქს ჰფენდა გზაში
და ყოველ ღატაკს აუნთებდა ბუხარს და ლამპარს.

რომ ეს ფრინველი სამოთხიდან გამონაქროლი
თამარის მხარზე შემომჯდარა მაისის დილით,
და, როცა მის ყელს შეეხებია თითები ბროლის,
წამოუწყია ჯადოსნურად სიმღერა ტკბილი.

სიმღერა იგი სიყვარულის გულში მთოველი
აუსხანს ლექსად ერთ ვაჟკაცსა, მიჯნურს და მხედარს,
ამიტომ რეკავს უკვდავებით ხმა რუსთაველის
და ოქროს ფრინველს ნანგრევებზე ამიტომ ვხედავთ.

ბუხრის გუგუნი და ზღაპარის შრიალი ნელი
მგვრიდა ჟრუანტელს, ნეტარებას და გაოცებას.
მელანდებოდა ინდოეთი, ბრძოლების ველი
და ოქროს ფრინველს დაეძებდა ჩემი ოცნება.

გავიდა წლები, მე საფლავიც დავკარგე მამის,
მაგრამ, როდესაც შემოდგომა გაშლიდა აფრებს,
ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე ასული ღამით
ჩაფიქრებული ვიგონებდი ბავშობის ზღაპრებს.

ხავსიან კედლებს განაბული ვაპყრობდი თვალებს,
რომ დამენახა შემომჯდარი ოქროს ფრინველი,
ვეძებდი ქვებზე თამარის და შოთას ნაკვალევს,
ვიდრე ცის კიდურს ვაკვესავდა სხივი პირველი.

ისევ ის წიგნი სურათებით მე მიდევს გვერდით,
გულის ცახცახით ვაშტერდები გაცრეცილ ფურცლებს.
ჩემი სამშობლო და ამ წიგნის ბრწყინვალე ბედი
დროთა ქარიშხლებს ერთნაირი სიმტკიცით უძლებს.

კიდევ მრავალი საუკუნე გადაიქროლებს,
მრავალ ქურუმთა ხმა ჩაწყდება ღონემიხდილი.
მაგრამ ცეცხლით და ბრინჯაოთი ნაჭედ სტრიქონებს
გვერდს აუვლიან მორიდებით დრო და სიკვდილი.

1937

მშობლიურ ქუთაისს

გაზაფხულია, თუ შემოდგომა,
თუ ალმასებით ბრწყინავს ზამთარი—
ჩემი ოცნება და გულის კრთომა
შენი ალერსით არის გამთბარი.

ეგების არც კი გემახსოვრები!
იზრდება შენი განი და სიგრძე.
განახლებული შენი ცხოვრების
მხიარულავს გმირობა და დიდი სიბრძნე.

ეს სიყვარული, შრომა და გარჯა
ჩვენ შეგვიწირავს მშობელ მხარისთვის,
და აფოლადებს გულსა და მაჯას
დიადი ზრუნვა მომავალისთვის.

დე, ჩვენს ვაჟკაცურ და მხნე თაობას
მზე მომავალის გულს უნათებდეს,
და ბრძოლის წუთში გამბედაობას,
დაუძლეველობას სულში ჰბადებდეს!

გაზაფხულია, თუ შემოდგომა,
თუ ალმასებით ბრწყინავს ზამთარი—
ქალაქო დედავ! ამ გულის კრთომა
შენზე ოცნებით არის გამთბარი.

1947

ალექსანდრე ქუთათელი

აქაკი ქუთაისში

მზე ამოვიდა, დაცხრა აისი,
ია და ვარდით უბე აივსო,
ზღაპრულ ბაღივით დგას ქუთაისი,
აყვავებული და სამაისო.

მთიდან ეშვება მზიური შუქი,
შუქი ვარდისფერ სვეტს ემსგავსება.
მინდა აპრილის ყვავილთა ბუქით
ამ თეთრ პეპლებით კალთის ავსება.

მათრობს სურნელით ნიავის ნანა,
ატმის ტოტები დამარჯნულები.
ტრფობის წყურვილით ხიდები დგანან,
ვით საქორწილო უფლისწულები.

სცვივათ ყვავილი, თაფლის ნექტარი
და, ვით მზიური ტანი ქალისა,
დგას თეთრ ფარდაგზე, ტურფა, კენარი
აყვავებული ხე ტყემალისა.

ეხვევა ფუტკრის გუნდი დილისა,
როგორც საამო ჩანგს სიმთა ყლერა.
ამ სასწაულის გამოთქმას, მჯერა,
ბრძენი პოეტის უნდა თილისმა.

მივალ აღმართზე და მარტომყოფი
უმალ დავები ჯადო ანკესით,
რადგან ანათებს ვით საბაოფი
მგოსნის ქაღარა უსპეტაკესი.

რისთვის ასულა მთაზე ბაგრატის,
ნეტავ, მგოსანი დიდი ენამზე.
დაქცეულ ტაძარს სტირის მარადის
კლდიან რიონის ამოქშენაზე.

დგას და ემდურის შავ ბედს, უკულმართს,
ჩამოზვავებულს და აქ ნასტუმრებს.
ნანგრევთა შორის ხედავს ჩუქურთმას,
ქართველის გენიას რომ ადასტურებს.

დგას თეთრ ხალათით კაცი ჭაღარა,
ღვთის მოციქულთა შეჰფერის კვერთხი
და ისევ უკრავს დაფს და ნაღარას
მგოსნების პაპა, სინათლის ღმერთი.

თეთრ ყვავილების დგება ფერხული,
ალმოდებული ცახცახებს ვერხვი,
და ჯადოსნური ხმებით შეკრული
ყველა ვეცემით მოხუცის ფერხთით.

ის კი აწმყოდან ნამყოს უცქერის,
კიდით-კიდემდე თვალს გააყოლებს,
ბულბულის ენით მამულს უმღერის
და მომავალიც აღარ აღონებს.

იისფერია ახლა დაისი,
ია და ვარდით უბე აივსო
და ვით აკაკი დგას ქუთაისი,
გაღიმებული და სამაისო.

1945

ხარიტონ ვარდოშვილი

ფ ა ზ ი ს ს

მიიზლაზნები პონტოსისკენ ტალღების ჟღერით,
მოვა ღამე და დაიძინებ, აღარ მღელვარებ.
გამოგაღვიძებს მთის ზეფირი ტკბილი სიმღერით,
და ალიონი ოქროსფერად აგელვარებს.

ატორტმანდები გაბრწყინებულ მზის დანახვაზე,
და სიყვარულით მკერდს ჩაიკრავ ელვარე სხივებს,
ალერსით სავსე იწყებ დუდუნს საამურ ხმაზე,
და ალმასისფერ ჭავლებს მშვიდად აატივტივებ.

იხილავ ყვავილს და არ იგრძნობ თავს ობოლ მწირად,
გშორდება ღამით მოვლენილი დარდი ფარული,—
რომ ამღერდება შენს მახლობლად მეგრელი ცირა
და დაგატყვევებს მისი ჰანგი ლეგენდარული.

შენ არ გაბერებს დღეთა სვლა და სიმკაცრე ჟამის,
ხშირად მდორე ხარ, ხან გიჟივით გულამღვრეული.
რარიგად გშვენის თეთრ ღამეში ზვირთის კამკამი,
როცა გეფრქვევა მთვარის შუქი, ჭარით რხეული.

ციცინათელებს ჟყვართ ფრენა შენს განაპირას,
შენი შრიალი ფრთამალ მთიებს მარად ახარებს.
ზეცისთვის გულის ხვაშიადის თქმა იცი ხშირად,
როდესაც ღამე მდუმარების ფრთებს დაგაფარებს.

ოი, ფაზისო, წინად ბევრჯერ ავსილხარ რისხვით
და გიწყევლია გარდასული ჟამი წყეული.
ბევრჯერ შერთვია შენსა ზვირთებს უმანკო სისხლი,
მებრძოლი ხალხის გულმკერდიდან გადმოფრქვეული.

ახლაც აჩნია იგი სისხლი მიწას ნამიანს,
ნამელუკების გაწამების შენ ხარ მოწამე,
მათი ცრემლები ზღვაში ბევრი ჩაგიტანია,
და მათთან ერთად გიტირია რამდენი ღამე!

ძუძუ გაწოვა უშრეტ მკერდით მშობელმა მიწამ,
მიტომ ხარ ლაღი და სტიქიას არ ემონები.
შენი ჭაობი ნარინჯების ბაღნარად იქცა,
და კოლოს ნაცვლად შიგ გალობენ იადონები.

ხედავ, მკერდი ვ´თ გაუღეღავს გლეხკაცს გულკეთილს,
ჯანს არ იშურებს და ალალი შრომით ამაყობს.
სწამს მ´სი გარჯა, სპეტაკ ოფლის ყოველი წვეთი,
მიწის წიალით ამოიყვანს სანატრელ ნაყოფს.

გადაღც პონტოს ვაჟკაცობა კოლხიდელების,
ტ ოგორ მჩქეფარებს მათს ძარღვებში სისხლი გმირული,
გრძელდება ბრძოლა და იცვლიან სახე'ს ველები,
გრძელდება შრომა, მედგარი და თავგანწირული.

1940

ჭ ა ღ ა რ ს

ფაზისის პირას ამართულხარ, განმარტოებით,
და მედიდურად გადაჰყურებ დაფენილ ჭალებს;
შორს გაგიწვდია ძარღვიანი, შხვართი რტოები
და მწვანე ფოთლებს ნაზად არხევ და აშრიალებ.

მთვარიან ღამით, როს შეგმოსავს სხივები ბროლის,
თრთი და კამკამებ მომხიბვლელად კაცის თვალისა,
ვერ გაკრთობს მეხი, ზეცის სიღრმით გადმონასროლი,
და ვერც ჭიდილი განრისხებულ ქარიშხალისა.

დაუშვებ რტოებს, როს დაგბურავს ბნელი საღამო,
და ღრუბლის ფრთებით დამძიმდება ცის დაფიონი.
მგონიხარ ლანდი, მარტოხელი და უსავანო,
ოლოხიდის ველად გადმოსული კავკასიონით.

იგრძნობ მოწყენას, როცა ქარი დაიწყებს კვნესას,
და ლურჯ ჭალებში სტვენას შესწვეტს ნაზი ბულბული.
ასე მაღალი იმიტომ ხარ, რომ გიყვარს ზეცა,
და გაზაფხულის ყვავილივით სუფთა გაქვს გული..

კვლავ გინახულე და შევავლე შენს რტოებს თვალი,
და გახალისდა ჩემი გული დიდ სიხითა.
გაფრენილ დღეებს მომაგონებს შენი შრიალი,
ხალამი შენდა, მეგობარო, ყრმობის ჟამისა!..

1940

იოსებ მჭედლიშვილი

სალამი თბილისიდან

ჩემი თბილისის დავ, ქუთაისო,
გიგზავნი გულწრფელ, თბილისურ სალამს.
ყოველთვის მინდა მეც შენთან ვიყო,
მაგრამ სიშორე მაბრკოლებს, მძალავს.

რა მაქვს მე ქვეყნად სხვა გულის ფანდი,
გარდა თეატრის, პოეზიისა.
ამიტომ მეც მსურს შეგამკო ვარდით,
აჰა, ამ ლექსად მიიღე ისა!..

1940

დავით გაჩეჩილაძე

ახალი ქუთაისი

თითქმის სამშობლოს ყველა მგოსნებმა
შენ ჩაგაბარეს თვისი ბავშვობა,
შენ შეგინახავს მათი ოცნება,
ლექსი, ჩიტები და თამაშობა.

შენ შეგინახავს ჩუქურთმა თლილი,
ციხის ნანგრევზე ნისლი ბინდებად,
რიონთან ოქროს ჩარდახის ჩრდილი
და იმერეთის ძველი დიდება.

შენ შეგინახავს მამიას ლანდი,
მან სევდის ცრემლი შენთან დაღვარა.
აქ თითქო ბაღში აკაკი დადის,
ენამახვილობს თეთრი, ჭაღარა.

და მესხიშვილი მშობლიურ სცენას
შემოანათებს ვით შარავანდი,
და დიდ არტისტში, ტკბილმოსასმენად,
იბრძვის ჰამლეტი განთიადამდის.

***

გნახე, ვერ გიცან დღეს, ქუთაისო,
სხვა გზა უნახავს დიდებულ რიონს,
სხვა ვარსკვლავებით ზეცა აივსო,
ვარდის ბუჩქნარში რომ დაგარწიონ.

აღსდექ, რომ იყავ ქცეული ნაცრად,
სხივს გაუფანტავს ქუჩის ბნელეთი,
ხმაჩახლეჩილი არღნების ნაცვლად
დღეს მართლა მღერის აქ იმერეთი.

დღეს აქ გმირების გუგუნს მოისმენთ,
მათი სახელი ეერვინ დათვალა.
ზის და აბრეშუმს ალიონისფერს
ქსოვს ქარხანაში გოგო შავთვალა.

შენზე ლექსები ბევრს აუკინძავს,
ბევრჯერ სიმღერა გითხრეს ახალი,
შენს ბალში ვნახე დღეს წულუკიძე,
ყველა ლექსებზე უფრო მაღალი.

მხრები ვაჟკაცურ რომ გაუმართავს,
სახეზე ბრძოლის ჩანს ჟრუანტელი,
გასცქერს, სამშობლოს თუ როგორ ხატავს
მის დიდ მეგობრის ფიქრთა ნათელი.

მიქელ პაპარიძე

ჭ ა ღ ა რ ს

როცა ქუთაისს ვეწვევი, მუდამ გნახულობ, ჭადარო,
რიონის პირას ერთ ბაღში დიდებულ ძეგლად დამდგარო.
შენ ნიავ-ქართა ლოტბარო, ჭაბუკ ხეების სარდალო,
ფეხმოუცვლელო გუშაგო, გოლიათების სადარო!

თუ ქარმა დაჰკრა ქუთაისს, ააქარავნა ქუჩები,
რიონთან ერთად ხმიანობ და ქართან ერთად ყუჩდები,
თქვენს სამაისო სიმღერას ვუსმენ და მყისვე ვმუნჯდები,
რომ კილო გამოვიტანო, აზრი შევიცნო ურჩევი.

ათას წელს მწვანედ შრიალებ, მაინც სიცოცხლე არ გყოფნის,
ხარ უკვდავება ამ მიწის, მისი ცოცხალი ნაყოფი,
მოხუცი მემატიანე წარსულში გზირად ნამყოფი,
დღეს მოქალაქე ერთგული ჩვენი ცხოვრების და ყოფის.

მუნჯი არა ხარ, მითხარი ოქროს ჩარდახის წარსული,
რარიგ ტანჯავდა რაინდებს მეფის ამაყი ასული,
შენ რამდენი წლის იყავი, რა ბაღით შემოგარსული,
აქ რომ ტყვეები მოჰყავდათ შებოჭილ-შემოთასმული.

ვინ იყვნენ დიდი გმირები მტრის ლაშქრის შემოშფანტველები,
ვისი სახელიც დავკარგეთ, ვით თოვლის მცირე ფანტელი,
ვინ იდგა შენის ჩრდილის ქვეშ წუთის კანკალით დამთკლელი,
როცა ეზოსთან გამოკრთა ფარზე ნატყორცნი ნათელი.

გინახავს, ირგვლივ ვაზნარი თუ როგორ გადაჩეხილა,
როგორ დაალპო ნაყოფი აქ უპატრონო ხეხილმა,
იქნებ იმიტომ გასძელი მტრის ცეცხლით გადამეხილმა,
რომ საქართველოს დიდება საკუთარ თვალით გეხილა.

ათასი წელი გუშაგობ, მუხლი არ მოგიკეცია,
რამდენჯერ მეხი დაგეცა, შემდეგ ბულბული გეწვია,
რამდენ მგზავრს ყალიონისთვის აქ ცეცხლი გაუკვესია,
რამდენჯერ შოთას შაირით აქ მიჯნურს დაუკენესია!

იქნებ შენც გიყვარს, მოხუცო, ერთი პატარა ფრთოსანი,
შენს ტოტზე დილით რომ ჯდება და მზეს უგალობს მგოსანი ...
იქვე ბუდეში ბარტყები ჯერ ბუმბულშეუმოსავი
და მკლავებატოტებული ხარ მუდამ მათი მლოცავი.

განვლილი წლები გულში გაქვს ნაბეჭდი, შემოხატული,
ჩვეხი-გმირული დღეებიც საოცრად შიგ ჩახლართული.
დიდო ჭადარო, გაიღე წყალობად ტკბილი ქართული,
რადგან ბუნების ყველა ხმა შენს ბგერებშია ჩართული!

შენი სისხლი და ხორცი ვარ, გულის ხვაშიადს მენდევი,
რამდენჯერ სისხლმა შეღება ქართველთა მწვანე ედეში,
გაუკაცურდა, დაობლდა მისი ტყიანი ქედები,
ყველა გარკვევით მიამბე, ამ თხოვნით შემოგბედევი!..

შორი წარსულის ელჩი და გადარჩენილი არსება,
ჩემსკენ დაიძრა ტოტებით, ხდება ნათელი სავსებად,
ქუთაისს, ახალ ქუთაისს, უმზერს და ეძვირფასება,
სტალინის დროში მოსული შრიალით მებაასება.

1946

შალვა ჩარკვიანი

ჩემო მშობელო

ისევ გიხილე, ჩემო აკვანო,
ალუბლის ხისგან გამოკვეთილო,
შენ, ჩემო ეზოვ, ჩემგან ნაკვალო,
და შენც ნაძვის ხევ, ხეო კეთილო!

ისევ შენთან ვარ, ტურფა ქალაქო,
რომ ჩემი გული შემოგთავაზო;
ბევრი რამ უთქვამთ შენზე არაკად,
ქალაქთა შორის შენა ხარ ჯადო.

თვალისმომჭრელი გაქვს ალიონი,
მაგ ლამაზ სურათს რა გადალახავს,
ნეტავი იმას, ვინც სვა რიონი,
ან და ვინც მისი სათავე ნახა.

რამდენჯერ შენი მიდამოები
მე გატაცებით გადამისერავს
და მრავალნაირ საღამოების
მოგონებები ახლაც მიღელავს.

მახსოვს მრავალჯერ განვცვიფრებულვარ
შენი დილით და შენი დაისით.
შენი წარსულით მე ავნთებულვარ,
შენზე ხოტბები სად არ გაისმის!

თავზე მზე გადგას, მან გამიმხილა,
რომ არ სწყინდება იმერთა ნახვა.
ძველ მეგობართა უეცრად ხილვამ
„ყველავ ჭაბუკურად ამაცახცახა.

ხალისით დაგცქერს დიდი წარსული
თვისი დიდების მომსწრე სავანე,
რა გულისძგერით მასთან მივსულვარ,
რომ დამენახა მისი თავანი.

შენ ხარ ღიმილი ცის მნათობების,
ხარ დედის ძუძუ ტკბილზე უტკბესი.
სხეულს გასხია ყვავილთა ფრთები,
შენ ხარ ბულბული, უკვდავი ლექსი...

დაფნის ქალაქო, გიბრწყინავს თმები,
უნეტარესი მოგყვება ბედი.
გაშლილ სინათლით მარად ენთები,
მოიკარაყე ერცელი გულმკერდი.

1920

კალე ბობოხიძე

სიყრმე და ქუთაისი

ქუთაისის პედინსტიტუტის სტუდენტებისადმი

ქუთაისი ნარნარი სიყმაწვილეს მაგონებს,
მისი ქუჩა, ბაღნარი წარმატაც ვარდებს მაკონებს.
მზერას მტაცებს, მატყვევებს მისი ზეცის იანი,
ჩვენი გიჟი რიონი, სანაპირო ტყიანი.

კვლავ ვნახე და ვიცანი ქართველ ქალის ხატება,
თვალთა კრთომა ცისანი, ღიმილთ გადმონათება.
ჩემი სიყრმის ქალაქი განვლილ დღეებს მაგონებს,
აი, წმინდა ალაგი, აქ ვეტრფოდი მთა-გორებს.

ის დღე ტკბილი წავიდა და სიყრმემაც ღამტოვა,
ტრფობამ თოვლის ზვავითა თავზე გადმომათოვა.
და ღღეს თქვენ რომ გიხილეთ, კვლავ მეწვია აისი,
გაფრენილი დღეები, სიყრმე და ქუთაისი!

1943

მაისის ქუთაისს

მზიურო ქუთაისო, ოცნებაო გულისა,
გაზაფხულო მაისის, სიყრმის, სიხარულისა,
იცი, გული აივსო სიყვარულის ნექტარით,
შენ მანახე დღეები—სიყმაწვილე ნეტარი,
ნათელი და ბრწყინვალე, როგორც შენი აისი,
როგორც შენი ლაჟვარდი, როგორც შენი მაისი.
დღესაც ისევ გიგონებ, ხარ ფიქრები ბავშვობის,
სიყვარული იმ დღეთა შენით არის ნაშობი.
მზედარო ქუთაისო, ოცნებაო გულისა,
ანთებულო მაისო—სიყრმის, სიყვარულისა.
ბაღნარო და ყანებო, საოცნებო ზეარებო,
ნანგრევებო ბაგრატის, წინაპართა ზარებო,
გულმღელვარე რიონო, მწვანე მთებო გელათის,
საყვარელო ქალაქო, შენ გაწრთობდა ბელადი.
წულუკიძის აკვანო, დიდ არწივის სამყოფო,
დიად ბრძოლის მოწამევ, გამარჯვების ნაყოფო,
თვალწარმტაცო, წიაღო იასამნის, იების,
ჩვენთვის შვების მთესველო, მტრისთვის—შურისძიების,
სული შენსკენ ისწრაფვის, გულს მოჰფინე სიამე,
მახარებდნენ ალერსით ვარდები და ია მე.
მაისის ქუთაისო, ოცნებაო გულისა,
იმედების მაისო უჭკნობ სიყვარულისა...

1944

ვარლამ ქურული

ანთებული რიონი

შენ თოვლიან ციცაბოდან მოშხუი და მორბი,
შენს სათავეს გადასწვივის ფრთაგაშლილი ორბი;
ვინ რა იცის, ჩემო კარგო, აჯანყება გინდა,
როცა წევხარ კალაპოტში, სარკესავით წმინდა.

შენ ანკარა ცრემლები ხარ ღრუბლისა და ლოდის,
შენი ტალღა კოლხიდაში სათარეშოდ მოდის.
შენ ხარ მაღალ კავკასიის კალმახების კერა,
კლდის აკვანმა შეგაყვარა ჩახჩახური ბგერა.

რომ იჩქარი, რომ მიილტვი, აქაფულო ზკირთო,
ახლა ხევში თქარათქურით თავს ამაოდ ირთობ.
ვიცი, მალე დაიმტვრევი, შენც გახდები წყნარი,
წინანდელ სულს ვერ ჩაკიდგამს კლასიკური ქნარი.

მაშ, დადუმდი, მდინარეო! მათქვევინე რაზე:
შენი შუქით გადამწვარა იმერეთის ღამე.
ჯებირის წინ გაღუპება დგაფუნით და ძგერით
ლეჩხუმიდან შავი ზღვისკენ გაქცეული ჩქერი.

ჯებირის წინ გინელდება ჩქაფანი და ღელვა,
მაგრამ შენც კი გენათება შენი წყალის ელვა.
რომ აუშვი ელსადგურის უთვალავი ცხენი,
სინათლის ქვეშ შრიალებენ საღორიის ხენი.

წყალწითელას წისქვილებთან ცალი ტოტით მიდი,
ტოტი ტყდება .. გვირაბშია... უკან რჩება ხიდი...

უკან რაჭის ნაძვებია და ფერადი მდელო,
სადაც ხშირი წყალდიდობით შენ გაგქონდა ლელო.

შენს სათავეს გუშაგობენ ღრუბლები და ორბი,
შენ პიტალო ფრიალოდან კოლხიდაში მორბი,
წინ გინთია ქალაქები, ორპირი და ფერო,
ვარბიხარ და მიგაცილებს უბინაო წერო.

1934

ა კ ა კ ი ს

მეგობრებთან, თბილისისკენ მიიჩქარის,
იმერეთით მოხიბლული, აღგზნებული.
არ უცხრება გრძნობის თბილი ნიავ-ქარი
და სიმღერა ქუთაისში დაწყებული.
მოვსდევ მის კვალს, მსურს ამ კვალში მქონდეს ბინა,
სულს მოუნდა უკედავების ახლო ყოფნა.
ვუცქერ მერცხალს, აკაკისთან რომ მოფრინავს
ჩვენი ქვეყნის გამარჯვების მახარობლად.
აღტაცებულ მთებს სიო ხდის ნისლის ქუდებს,
ველ-მინდვრები ყვავილოვან კალთებს შლიან.
შლის მგოსანი შუბლს ღიმილით და ყურს უგდებს
სასოების გულისცემას, ფრთების შრიალს.
ბულბულები ჩანგს აჟღერენ ყელის რხევით,
ხმას იმაღლებს ფრთხილად მტრედი თავმდაბალი;
მაინც ყველგან დიდი მგოსნის ტკბილი ხმებით
სავსე არის საქართველოს მთა და ბარი.
ამ ხმებს დედა დაღიღინებს შვილის აკვანს,
ბრძოლის ველზე ეს ხმა ებრძოლს გულს უმხნევებს,
აკაკის ხმით ჩვენ ოცნება ფრთებს რომ დაგვკრავს,
სხვა გზნება და სხვა ფერი აქვს ზღვას და ხმელეთს.
მაშინ სიბრძნედ ჟღერს ნიავის ლაპარაკი,
ნანად ისმის ჩანჩქერების ბარში გასვლა...
ზურმუხტოვან სიმწვანეში ჩანს აკაკი,
მინდვრის თეთრი ყვავილების გუნდის მსგავსად.
გმირთა ქვეყნის დიდ ზეიმზე მიიჩქარის,
თბილისისკენ მიისწრაფვის აღგზნებული.
არ უცხრება გრძნობის თბილი ნიავ-ქარი
და სიმღერა ქუთაისში დაწყებული.

1943.

ალეკო შენგელია

აკაკი იმერეთში

თოვლიც კი აღარ ანათებს ასე,
ცივი ნათელი რა არის მარტო,
მივდივარ, ვიჭერ ყვავილებს გზაზე
და მათი თეთრი სურნელი მათრობს.

არ მეგულება არსად ისეთი,
სურვილი მომკლავს მხოლოდ ერთისა;
ჰყვავოდეს ყველგან იმ სინაზეთი,
როგორც აპრილი იმერეთისა.

თქვენ იტყვით, თეთრი ჭაღარა არის,
მაგრამ მე ამას ვერ დავიჯერებ,
აკაკი ჰქვია ყველა თეთრ ყვავილს
და გაზაფხულზე ნათქვამ სიმღერებს.

ყვავილს, რომელიც არ ჭკნება, მხოლოდ
დამწიფდება და შარაპათს მოისხამს,
ისევ იფეთქებს, ისევ... და ბოლოს
გაზაფხულია ყველა დროისა.

იქნებ გაქურდეს პოეტის გული,
ვეძებ, კანკალით ვიჩრდილავ ხელებს.
თვითეულ ხეზე თითო ბულბული
აკაკის ყელით ამბობს სიმღერებს.

რა გვეთქმის მეტი, როცა ხეები
ამგვარ ჭალარითაშეიმოსება,
აკაკის ვუთხრათ კელავ სიმღერები
გაზაფხულის და ძმობის მგოსნებმა.

და როცა დილით, მზის ნაფერალი
გადაიკარებს რძისფერი ნისლი,
შორს გამოჩნდება თეთრი მწვერვალი—
მისი სახელი და ობელისკი.

1940

იოსებ ნონეშვილი

ღამე ქუთაისში

როცა ქალაქში საღამო დგება
და ჰქუხს რიონი მთების ნადავლით,
წყლის ზედაპირზე აილანდება
ჟამგადასული ერთი ჭადარი.

შემდეგ ბესიკი აჰყვება ლანდებს,
ღამეში სიტყვას ააყვავილებს,
ყელს მოიღერებს და რიჟრაჟამდე
ანა დედოფალს უმღერს შაირებს.

გაეღვიძებათ გმირთა გმირებსაც,
აღარ ეცდიათ ხმალი რა ხანი.
ირგვლივ ისრების ფრთები ირევა
და ფარ-შუბების ისმის ჯახანი.

მხოლოდ ჭადარი თავისთვის ფიქრობს
და კვლავ რიონის ჩქამი გაისმის.
მაღლა ვარსკვლავნი ბრწყინავენ. . თითქოს
ზეცის სარკეში ჩანს ქუთაისი.

1939

რ ი ო ნ ი

გზა რიონს მისდევს,
ვიცი გორებს მოვეფარები
და ქუთაისი
გამოლიზებს ცეცხლის ხაზებად;
მდინარეც მიხვდა:
გადაკვეთენ რკინის ფარები,
ლოდებს მისტირის,
უსიცოცხლოდ მიიზლაზნება.
აი, გორებიც,
რომ ელიან ზეცას კვამლიანს,
ტყიან კალთებზე
დასწოლია შრომის უბნები,
უკან გახედავ,
ნალვლიანი ისევ ხვამლია
თავშეხვეული,
დახურული ლურჯი ღრუბლებით.
გასწივის ქარი...
დუმს მდინარე მდორე დინებით,
შიშველ ნაპირებს
შიშმორეულ თვალებით უმზერს,
კრიალა ტალღებს
ეტმასნება მღვრიე ჩრდილები,
დუმს რიონი და
მთვარე აკრავს ჯავრიან გულზე.
აგერ ჩამოდგა
კიბულას კლდე ტანდაჩეხილი,

კლდეებთან ბრძოლის
ეხოები ხევში მძინვარებს,
აგერ მდინარით
გაწყვეტილი მთების გრეხილი
და ხევში
რკინით შეთოკილი თვითონ მდინარე.
რტოების მტვრევა
ტყიდან ქარით გამონატანი...
თებერვლის ღამით
ქარი სტირის პატიმარ რიონს,
იბღავლებს ავტო,
დატვირთული თეთრი მადანით.
და გული სტკივა,
გული სტკივა უქიმერიონს.
ისევ ქარია...
და ქუჩები ხმაურს მოდენის,
დაჭრილ ღამეში
გაწოლილა მიდამო ვრცელი,
ხიდქვეშ ამდგარან
გულმოთხრილი თეთრი ლოდები
და ჭრილობებში
ჩარჩენიათ მდინარის ცრემლი.
უქიმერიონ!
აგენთება არხით წასული
შმაგი მდინარე,
და ტყემლებიც გადახმებიან,
გულში ჭრილობად
შეინახე ხსოვნა წარსულის,
ღამის ბინდები
გადაგძვრება მოხეცა მხრებიდან.
განთიადისას

აქუხდება სივრცე კლდიანი,
მძაფრი დღეები
ლაღუმების ბოლში ილევა,
რომ ძირს დაეცეს
შორი მთებიც გულმადლიანი
და ცას სილურჯე ჩამოხიონ
ქარხნის მილებმა.

1976

თვით საუკუნეც ვერ დაგვაბერებს

აბრეშუმის მკსოველ კიმკავში-
რელს, ორდენოსან სონია ხობუას

I

ზინდორი ჩანდა სპარსულ ნოხიეით
ურჩი მდინარის სანაპიროდან,
ბებერი მუხა წელში მოხრილი
ღარიბი ქოხის ჩედზე ტიროდა.

იცრემლებოდნენ: მუხა კითილი,
ყანები ნწვანე, ყანები ლურჯი.
დღედაღამ შრომით მუხლმოკვეთილი,
ცას შესცქეროდა ოჯახის ბურჯი.

და გულში ენთო ნატვრის ალმური:
ყოფის საზღვარი გადაელახა,
რომ მზის სხივები და სიხარული
თავის ღარიბულ ქოხშიც ენახა.

ხნულში დარბოდი ცისფერთვალება,
თითქოს ბუჩქებიც გიცქერდნენ რისხვით,
შენი ბავშვობა იყო წვალება,
ფეხის თითებში გდიოდა სისხლი.

და თრთოდა მუხა შენი მნახველი...
მაგრამ დაეხსნათ, ნუ გვაგონდება
დღეები, სევდის გამომსახველი,
დედის ცრემლები, ქოხის გოდება!..

II

ფანჯრიდან მოჩანს ღრუბლის ნაპერი,
შენი, მადონას თვალივით წმინდა.
მე, სტრიქონებით ცეცხლის დამქერი,
გიცქერ და შენზე სიმღერა მინდა.

შინდა სიმღერა იყოს მარადი,
დრო ჟამში რომ არ შეიბინდება,
წამოიქუხოს მთიდან ბარამდის
და ხალხს გადასცეს შენი დიდება.

გუშინ მშობლიურ დაზგებთან გნახე,
მაქო მოსხლიტე, როგორც შურდული.
გიელვარებდა საყვარელ სახეს
თმის აბრეშუმი ჩამობურდული.

შემოტრიალდი და რაოდენი
ეიგრძენი სითბო და ქარიშხალი,
როცა გაბრწყინდა მკერდზე ორდენი —
შენი გმირობის დიდი ნიშანი.

გინახავს კრემლში კაცი ტიტანი,
ჩვენი ბელადი, მამა მშობელი,
მზის და უფლების ხალხთან მიმტანი,
მაშვრალთა ცრემლის დამაშრობელი.

გინახავს ქვეყნის ბრძენი სარდალი,
გიგრძვნია სითბო მისი მარჯვენის,
და გიმღერია მზის შესადარი
სიმღერა ბრძოლის და გამარჯვების.

დაგიძლევია მწარე ცხოვრება,
მოსაგონადაც დამღონებელი.
მე სამარემდე მემახსოვრება
შენი გმირობა შთამგონებელი.

ჩვენ კომკავშირი გვზრდიდა გმირული,
ვიცავთ სტალინის უძლეველ დროშას,
სამშობლოს საზღვრებს შემორკინული-
კვლავ მებრძოლებად შევრჩებით დრო-ჟამს.

...ისევ ელვარებს ცის სილაჟვარდე
შენი, მადონას თვალივით წმინდა.
ვუცქერ ფანჯრებზე გადმოხრილ ვარდებს
და ჩვენს დღეებზე სიმღერა მინდა.

შენი ცხოვრების დიდებას მღერის
ეს ყვავილებიც ფერად-ფერადი.
შუქდაფრქვეული ელვარებს ჭერი
და შემოგვციინის ბრძენი ბელადი.

კრთიან ფარდები მოქარგულები,
ვისმენთ მღელვარე მუსიკის ბგერებს,
ისე გამთბარან ჩვენი გულები,
თვით საუკუნეც ვერ დაგვაბერებს!..

ლადო ასათიანი

ლექსებიდან „ძველი და ახალი ქუთაისი"

დ ი ლ ი თ

ცა იწმინდება და სისხამ დილით
მზე ერეკება ღრუბლების ფარას,
ვარდის ბაღნარში ეცემა ჩრდილი,
ქუჩას პალმა და ყვავილი ფარავს.
მე აქ დავწერე ლექსი პირველი,
ვარდებსაც ესმით ამ გულის ფეთქვა,
ვარ ამ ვარდების გულთამხილველი
და მსურდა მათზე სიმღერა მეთქვა.
იმდენი მეთქვას ლექსი მაგარი,
რამდენჯერ მე აქ მინავარდნია,
მინახავს ხალხის ნაამაგარი.
ახლაც ვულიმი ქალაქს ვარდიანს.
და იტყვის ჩემი ლექსი ღაღანით:
—ვაშა ვარდების მომტან გვარდიას!

ჩ უ ქ უ რ თ მ ი ს მ ჭ რ ე ლ ი

არ იცის მისმა მკლავებმა დაღლა
და უკაკუნებს, როგორც კოდალა.
ჩუქურთმისმჭრელი ასულა მაღლა
თეთრი ქვის გულის დასაკოდავად.
ნიადაგ ისმის ძახილი და ხმა,
ეშხიანდება შენობის გული:
ჟამიდან-ჟამზე რომ ნახოს ხალხმა
ჩუქურთმა ქვაზე ამოქარგული.

1936

* *
*

რიონის პირას შეოთავს ქალაქი, ათას ჭირში და ლხინში ნაქები,
ყოველ ახალ წელს საგულდაგულოდ განათებული ჩიჩილაკებით.
მის განთიადებს ნუ დაივიწყებ და არასოდეს არ დაბერდები:
ის თეთრი ჩოხა ისევ გაცვია, ისევ პრიალებს წულა-მესტები.
ისევ მესხეთის ქუჩით ბიდიხარ და მოგძახიან იგივ სწორები,
შეგხვდება ვინმე ოჯახის შვილი, კოხტა ყმაწვილი, მოეწონები,
ხელში აგიყვანს, შუბლზე გაკოცებს, უზალთუნს მოგცემს, აგრე
დაგლოცავს:
„მრავალ ახალ წელს დაესწარ, შვილო, და ესახელე ბიერლის
ოჯახს!..“
რიონის პირას კი ქუხს ქალაქი, ათას ჭირში და ლხინში ნაგები.
მხოლოდ ბაგრატის ტაძრის ნანგრევნი გარინდებულან მკედრულ
მყუდროებით,
მაინ შთაგინერგეს შენ სიყვარული, ყრმაო, გარდასულ იმა
დროების.

ბონდო კეშელავა

რ ი ო ნ ს

დიდო ფაზისო, ფასის მთიდან გამომდინარევ,
კვლავ მომენატრა ჯიქურ მგრგვინავ ტალღათა ცქერა,
გესტუმრე, კარგო, მაგრამ რა ვქნა, ვაჟკაცურ ზვირთებს,
მე ვეღარ ვუმზერ, ვეღარ ვხედავ, ქცეულან ჩქერად.

იქნებ, მდინარევ, გული გტკივა, ბოღმით ირთვები,
ნების გარეშე რომ აგიგეს ბინა ახალი,
შუქად აქციეს მომთაგორე მღვრიე ზვირთები,
დატოვეს მშრალად ქვიშა—შენი ნამოსახლარი.

იქნებ, რიონო, ის გაშმაგებს, რომ ჟამთასვლაში,
მთიდან ბეჭებით მონაზიდი ჯიღა ლოდები,
დარჩნენ უშენოდ, ვერ ჩაუვლი ტალღათა ტაშით,
და ამ ფიქრებით დალეწილი ზღვას უერთდები.

ნუ დაგაფიქრებს შენ ლოდების ობლად დარჩენა,
დაყუჩდი, კარგო, გულზვიადო, ნუ დაღონდები,
ვინაც შენს ზვირთებს მოუარა და გზა აჩვენა,
მას მოუვლელად არ დარჩება არც ეს ლოდები.

ხედავ თუ არა, რომ გაბურღეს მდუმარე ლოდი,
ლაღუმმა იწყო მის გულ-მკერდში უნდოდ ზანზარი,
აბა მიბამბე, სთქვი, მდინარევ, თუ მოელოდი,
რომ შენს ლოდებშიც გაჩნდებოდა მძაფრი ხანძარი.

არა და მაშინ მომისმინე, მომაპყრე ყური,
უცხო ამბავი გასართობად გიამბო მინდა,
გაგახალისებს, ვით ნიავის მთით შარიშური,
როგორც ამბორი ნუგეშმცემი და ფიცი წმინდა.

რად გეფერები, ფიქრი ჩემი რად არ გშორდება?!
უტყვი ლოდები ჩუქურთმებით როს დამშვენდება,
აიმართება მთაზე კოშკი თეთრი, ზვიადი,
შენი ამაგის სამახსოვროდ, ვით განთიადი.

და როცა მწუხრში შთაინთქება კოშკი დიადი,
როცა დარბაზში შეიჭრება ღამის წყვდიადი,
შეებრძოლები დასაფერფლად შორეულ ქშენიო,
და მრუმე კედლებს გაანათებს სხივები შენი.

გიორგი გიასელი

სამგორის ლაქვარდები

„სამგორის საექსპლოატაციოდ გადაცემით ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა აყვავებულ ბაღებად, ვენახებად, ბოსტნებად, ბამბის მაღალმოსავლიან პლანტაციებად გადავაქციოთ 37 ათას ჰექტარზე მეტი ამჟამად ცარიელი მიწა, რომელიც უშუალოდ ქალაქ თბილისს აკრავს.“

კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენებიდან

მე ვოცნებობ: სამგორის ველს რწყავდნენ დილით,
და ზედ იდგნენ ძეწნები თმებდაწნულები,
მოდიოდეს საქართველოს ჯიშის ხილი,
ვარდებს რგავდნენ საროსტანის ქალწულები.

იდგეს ხვავი, ტრიალებდეს ნატვრის თვალი,
ჩვმს სამშობლოს რომ სიმდიდრე შეემატოს,
დაგვნათოდეს მზის სხივები გაუმქრალი,
გულს ეპოვოს, რაც ეწადოს და ენატროს!

ვარდის ეშხით მონაბერი სიო ჰქროდეს,
აყვავილდეს მიწა მკერდით გადახნული,
ქუთათური ავტოებით ჩამოჰქონდეთ
დიდ სამგორში მოწეული ჭირნახული.

მოდიოდეს წითელლოყა ვაშლი, მსხალი,
აბიბინდეს ჯეჯილი და პურის ყანა,
ჩხრიალებდეს ბრილზე სუფთა წყაროს წყალი,
გაისმოდეს ურმული და ტკბილი ნანა.

მწიფობელამ მოგვილოცოს შემოდგომა,
იყოს ღია საავსე ბაღის ჭიშკარი,
თავზე ადგეს გალაღებულ კაცის შრომას
ათას კვარით ანთებული ცისკარი.

ვარდის ეშხით მონაბერი ქარი ჰქროდეს,
მწვანე ველმა დაიმშვენოს გაზაფხული,
ქუთაისის მანქანებით ჩამოჰქონდეთ
დიდ სამგორში მოწეული ჭირნახული.

მზემ ქუჩები შუქის სირმით ჩამოქარგოს,
ჰკითხონ: ასე ადრე როგორ ჩაეხვედით?
—სადაური ვაშლი არის, ჩემო კარგო?
—სამგორშია დაკრეფილი, ჩემო დედი!

გაიხარონ თბილისლებმა მაშინ გული,
როს ისმოდეს იავნანად რტოს შრიალი.
სამგორელი იტყვის: ტურფავ, სამგორული
ჰა, ყურძენი ქარვიანი, გიშრიანი!

ეს ვარდები ასფურცელა და სურნელი
სამგორშია მოკრეფილი გამთენიას,
გადახედე, ეს დოვლათი ხელთუქმნელი
რა მსუყეა, რა ტკბილია, რამდენია!

ჩვენს ხილეულს, დედი, სხვისი ვერ სჯობია,
გამოვსწიოთ ქალაქ თბილისს აჩქარებით,
ვერა ხედავ? ჯერ ცვარიც არ შეშრობია,
გაახელით ქუთათური მანქანებით.

1947

ქუთაისო, ჩემო დედავ!...

ქუთაისო, ჩემო დედავ,
შენი ფუძე ძველისძველობს.
მთას შევხედავ, ბარს შევხედავ,
ვსვამ სტალინის სადღეგრძელოს!

მედგრად შრომობს კაცი, ქალი,
ლურჯი კვამლი ჰაერს ღარავს—
და დროშები სისხლშემშრალი
ფრიალებენ გულსახარად.

ფრენს კალმახი ტალღებს შიგნით,
რიონის პირს გასცდა წერო,
ო, მე მინდა ყველა წიგნი
ვარდის მელნით დაიწეროს.

ჩქეფს ფაზისი—სარკე წმინდა,
მორბის ზვირთი სუფთა ისიც.
ცხრათვალა მზე ამობრწყინდა
და მაისობს ქუთაისი.

ლამპარივით რად ვენთები,
ცხრა მაისმა რა მაჩვენა?!
ჩვენი მიწის, ჩვენი ზღვების
და სიცოცხლის გადარჩენა.

ქუთაისო, ჩემო დედავ,
შენი ბჟენი ძველისძველობს.
მთას შევხედავ, ბარს შევხედავ,
ვსვამ ბერიას სადღეგრძელოს!

1945

ვაქა-ფშაველა ქუთაისში

გხედავ, რომ შამრიგებიხარ,
მით შენთან სალამს ვბედავო.

ვ ა ქ ა

შენ ქუთაისი გინახავს,
ედემის კუთხედ შობილი,
აქ წაგიკითხავს ლექსები,
ია-ვარდებით მკობილი,
ხალხს უთქვამს: ხშირად გვეწვიოს
მწყრალი და ახლა ძმობილი!

თხთქოს იყავი ხატობას,
სხვა ეშხი გამოგყოლია,
შენი ჩონგურის სიმები
გულის ძაფები მგონია,
შენით გავიგე სიმღერას
რა ქარიშხალი ჰქონია!

შენით ამაყობს, მგოსანო,
ბარი, ფშავეთი, მთა-ხევი.
სადაც არ მიველ, წინ შემხვდა
მაგ სიმღერათა ნახმევი,
ცაზე ღრუბელი ჰკიდია,
ვით შენი ჩოხის ნახევი.

შენი ბაღნარის ყვავილი
ათას ყვავილში იცნობა,
შენმა ფურცლებმა გვიამბეს
დამწერის გულნაისრობა,

იგი შენს ბაგეს ამოსცდა,
ვით ჯერუთქმელი მისნობა,
ხალხმა ჩანგურზე იმღერა
სიმღერის მარადისობა!

რა საამურად მეხვევა
მთიდან აშლილი ქარები,
თითქოს რაშზე ხარ შემჯდარი,
ბარისკენ მოეჩქარები,
მობრძანდი, შენთვის იღება
საიმერეთოს კარები!

1945.

ბაგრატის ციხე

შენი ციხე-გალავანი,
ბევრჯერ სისხლით განაბანი.

ა კ ა კ ი

ძველი ფრესკებით და ჩუქურთმებით
დგას ძველი ციხე და გალავანი,
გარს ევლებიან ხეთა რტოები,
ეალერსება ზეცის თავანი.

ვით მატიანე გარდასულ დროთა,
ჭირთა მომსწრე და გადამლახველი,
დგას საოცრებად, იდუმალ შფოთავს,
დიდი ბაგრატის ჰქვია სახელი.

ივია ხალხის აზრი და ნება,
ძალგულოვნების ძეგლი ქართველთა,
თუმც მოდიოდნენ დასამონებლად,
მაგრამ სამშობლოს ვერვინ გვართმევდა.

სისხლით ნაღები, ნაპარტახალი
იყო მარბეელთა გადამლახველი,
ამ კედლებს ახსოვთ ომი მრავალი
და დიდ სარდალთა ბევრი სახელი.

1945

ცხრა მაისის ქუთაისი

მშვენიერო ქუთაისო,
სავარდო და სამაისო..

ა კ ა კ ი

მარადის უმზერს ხვამლის მწვერვალი
და ქუჩებს ხატავს სუფთა დაისი...
ვით საპატარძლოდ მორთული ქალი,
ფერად ვარდებში ზის ქუთაისი.

უქიმერიონს უცინის მთვარე,
ცის დასავლიდან ტატნობს მისული...
შორს ვარსკვლავები ნაბავენ თვალებს
და დგება ღამე ქუთაისური.

უწინაც იყო მწვანით განთქმული
მისი აპრილი,
მისი მაისი,
მაგრამ სხვა იყო წელს გაზაფხული,
სიმღერით შეხვდა მას ქუთაისი.

წითელ დროშებში გათენდა დილა,
რაღაც ზღაპრული,
რაღაც მისნური...
ასეთი დილა ჯერ არ ყოფილა
და მაინც იყო ქუთაისური.

1945, 9 მაისი.

მაყვალა მრევლიშვილი

არჩევნებს ველი

თებერვლის დილა, ცის უმანკო ნამცვრევით სველი,
დამდნარი თოვლის ნაკადულით უხვად ნასხური.
სხივთა ფერხულში ოქრომკერდის ქარგად ინთება.
ხეებს, პატარა ლოლუები, ღამით ასხმული
მზის ამოსვლისას დასცვივდებათ მარგალიტებად...
საგაზაფხულო სიმღერებში შემართულ ყელით
ჩემი ლამაზი ქუთაისი არჩევნებს ელის.

სიცოცხლით სავსე საქართველოს მზვარეს, მზის გულებს,
პაწაწა თვალით შემოსცინებს კვირტი ახალი,
თვითეულ ჩვენგანს, საარჩევნო დარბაზს მისულებს,
წინ გვიძღვის მტკიცე შეგნება და აზრი მაღალი—
მშობელი მხარის გულისცემა გამოვთქვათ ერთად,
იქ, საკუთარი სინდისის და რწმენის ამარა,
რომ საქართველოს კვლავ ლაჟვარდი ზეცა ეხუროს,
მარად ნათელი და უღრუბლო ზეცის კამარა.

შრომით მდიდარნი, მომავალი დიდების წლები,
მხედართმთავარის, ჟეშმარიტი წინამძღვრის ცნებით,
ზეიმს დღევანდელს შეჰკინძავენ ოქროვან ყდებად.
იყოს დღეგრძელი ის პირველი ჩვენი რჩეული!
ბრძოლით ნაწრთობი, ხალხი, ალალ შრომას ჩვეული,
ქვეყნის მომავალს, ქვეყნის აწმყოს პირნათლად ხვდება.
საგაზაფხულო სიმღერებით მოკაზმულ ყელით
ჩვენი ლამაზი ქუთაისი არჩევნებს ელის.

1947

ქუთაისელ მშენებლებს

მე ახალწლის სურვილებით გეწვიეთ,
თქვენ დამისვდით გამარჯვების ლხინითა,
ლალისფერი დაგიწურავთ დროშებზე
ბროწეულის ყვავილების ღილიდან.

ხარობს გული, კვლავ ასევე ელაღოს,
თვალწარმტაცი ქუთაისის მშვენებებს,
სხვაც მრავალი სიხარული გენახოთ,
ავტოქარხნის ხალისიან მშენებელთ.

სხვაც მრავალი... ეს კი უკვე ჩვენია—
ღღეანდელ დღეს, ეს ზეიმი პირველი,
გაზაფხულის სუნთქვა შემოსჩვევია
გარს მთა-გორებს, მორთულს რთვილის სირმებით.

სადაც არის, ველი ფხიზლად მძინარი
ზურმუხტ საფენს მოგვაგებებს გზებიდან,
გავიხაროთ, მომავალი წინ არის,
ყმაწვილური გულგაშლით და გზნებითა;

სადაც არის, დათოვლილი ტატნობი,
თეთრ ყაბალახს თვალებიდან გადიწევს,
მოეხსნებათ ხარაჩო და ბურუსი
ბრგე შენობის ცადაზიდულ ლავიწებს.

ჩქარობს დაზგა: ფარშავანგის ფრთასაებრ
ცვივა შუქი, თვალუჩინარ ოქროდა,
იფრქვევა და რწმენით ინათესავებს
გულს, ქართლიდან, სალამი რომ მოჰქონდა.

გზად, მაღლაკის ნასიმიდარ მინდვრებზე
ჩარიგებულ ნიგვზებით, თუ ჭადრებით,
ქუთათური მანქანები ირბენენ
სანათების მძლავრი შუქის შადრევნით;

თქვენი პირმშოს ფიანდაზად იგება
საქართველოს გზები მრავალფერადი,
პირმლიმარი სვვრეტს ამ გულმოდგინებას
სამშობლო და საყვარელი ბელადი.

1947

ვლადიმერ გუგუშვილი

მ ე რ ცხ ა ლ ი

შარშან აქ მხოლოდ კირი ეყარა,
შემდეგ აგური მოზიდეს ურმით,
შემყვარებია მე ეს ქვეყანა,
ლამის პატარამ დავტოვო გულიც...

და იმ მხარეში წასვლის შემდეგაც
ვუმღერებ ქალაქს ლამაზს, ვარდიანს;
აქ რომ დიადი სახლი შენდება,
მის ჩუქურთმებში ბუდეც კარგია.

ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი

ირგვლივ ბაღია და ყვავილები,
მზეში ხარობენ, გულებს გვიწვდიან,
მე ყველა მიყვარს და ვეუბნები:
რომ არ გიცქიროთ, არ შემიძლია!

არ შემიძლია, დავტოვო თქვენი
ნორჩი სიცოცხლე და თანაგრძნობა,
თქვენი ნარნარი სამშობლოს შვენის,
მის სიკეთეს და ახალგაზრდობას.

გიცქერით, ვხედავ რომ მზის ღიმილი,
თქვენს ნორჩ ფოთლებზე დახატულია,
მინდა გემთხვიოთ, მაგრამ რაღა ვქნა,
როცა შეხება აკრძალულია!

1946

ანდრია სანი

ახალ ხიდთან

მე ეს მიდამო ვერ მიცნია, ნუთუ ის არის,
უს ორმასწოროდ რომ უხვევდა აქ ბალახვანი!
ვერარ მიცნია ამ კალ დ ხიდის გულისფიცარით
შლეგი რიონის გადაბლახავი!

მგზავრი კანკალით მიჰყვებოდა აქ გაბმულ ბორანს,
ცოფიან ზვირთებს მინდობოდა სიცოცხლე მისი,
ქუხდა რიონი, გულზვიადად ტალღავდა გორას,
გადაჰფენოდა ნაპირებს ნისლი.

სწყევლიდა ხალხი რიონს, მთიდან შოვარდნილს შლეგად,
სწყევლიდა შარებს, ქოხებს ზორის ლაფში გათქერილთ,
ბედის კრულვაში ეძიებდა გულისთვის შვებას,
დღის სინათლეზეც მძებნი ნათელის.

საოცარია, მე რატომღაც ახლა მგონია,
მაღალი ზეცა მხოლოდ აქეთ იყოს მზერალი,
თითქოს აცვივა კალდეგადამკვარ ზვირთზე გოლიათს
ლაჟვარდებში თუ სადმე მზე არი!

მღელვარე ტალღებს წაჰყოლია დღეები სევდის,
გაშლილა ვარდი ხალხის მზესთან გულგანახარი,
ამღერებულა დღეს რიონის ზვიადი მკერდიც
და ზვირთებს არხევს ჰანგი ახალი.

ამღერებული, მიდუდუნებს, შფოთი არ ახლავს,
ყვავილნარებში ჩაძირული ფართო ნაპირი;
აღარ მოესმის მის დუდუნში ბებერ ბალახვანს
გურიელის ხმა ცრემლად დაღვრილი.

აწ ამ მიდამოს მწუხარება ვეღარ შებინდავს,
ირგვლივ ლხინია, მზე იღვრება ოქროს ხელადით,—
კრემლის ცადასულ გოდოლების ლაჟვარდებიდან
მზე დაფრენილა აქაც ბელადის!

1945

ჯ ა დ ა რ ი

ქარტეხილები ბევრი ზიდეს ამ ხესთან წლებმა,
შრიალებს ისევ, მზისკენ იწევს, სართულებს იცვლის,
უშიშარია მისთვის გვალვაც—ზაფხული ფიცხი,
მაგარ ფესვებით დგას ამაყად და ცის თაღს წვდება.

შრიალებს ისევ, ბერი ჯადრის მაჯა არ წყდება,
რამდენ გაზაფხულს მოსწრებია, არავინ იცის,
უნახავს ბევრჯერ მის რტოებქვეშ ვაჟკაცურ ფიცით
სარდლის წინაშე თავდახრილი რაინდთა წყება.

სმენია ჯადარს, უხუცეს ხეს, ოქროს ჩარდახის,
პალატთა შინა ნადიმებზე ბესიკის ჩანგის,
ფაზისის დუდუნს შეწყობილი მგზნებარე ჰანგიც.

თვალს არ აშორებს მთაზე მარად ფიქრში თავდახრილ
ბაგრატ-ს ტაძარს და გარდასულ ჟამთა სიავის
ამბავს შლის იგი დარბაისლად ანაშრიალი.

1943

ზურაბ ლორთქიფანიძე

ვაჟას ქუჩა ქუთაისში

ძველი ტაძარი დგას მთაზე ურჩად,
თავზე ეფრქვევა მთვარე ნათელი.
დაკიდებული გორაკის ქუჩა
ვაჟას სახელით მოუნათლიათ.
ღამით გრიგალის ფხიანი დაშნა
ღრუბლის შავ დევებს შეებმის, ჩაკლავს...
და ტაძრის მხრებზე შემდგარი ვაჟა
თვალს გადააწვდენს საყვარელ ჩარგალს.
არა, არ ყოფნა აღარ გვაბრაზებს,
ვაჟა-ფშაველა განა მკვდარია!
სახლ-კარი მთაზე, საფლავი მთაზე,
სახელიც მთაზე აუტანიათ.

ი ქ ი ბ ა დ ე ბ ი

პირველ ქართულ ავტომანქანას

მე მიეატოვე მიდამო ნაზი,
სადაც ჰყვავიან მუდამ ვარდები
და აწ ქალაქის გარეუბანში
ყვავილებს შორის შენ იბადები.
იქნებ არც იცი, მზიურ სურვილით
მე გავსცქეროდი სივრცეს მჟიანებს,
ჩემი ფიქრებით შემობურვილი
მანდ ჩემი ოცი წელი ბრდღვიალებს.
და რომ ჰყვავიან ახლაც ვარდები,
იმ ვარდებს შორის შენ იბადები;
მიჰქრი წყალტუბოს ნამიან გზაზე,
ჯანღონიანი, სიცოცხლით სავსე.
დაჭრილ ვეფხვივით თემს მიაბღავლებ,
იშლება ნისლი შემოჯარული,
ყუმისთავის და ჩუნეშის ხარებს
შენ სიბრალულით გვერდზე ჩაუვლი.
და მიჰქრი, ისევ წყალი მოქონავს
ჩამოყუდებულ მთას და პიტალოს,
ფრთხილად, მანდ ჩემი ცელქი ბავშვობა
შემთხვევით გზაზე არ გაიტანო!
ვხედავ, მიილტვი რუსეთის გზაზე,
შენ იმერეთის მშვენებით სავსე.
შორი ველები ნისლით ნაბური
შენ ჩვენებური ფერით შეღებე.
მეც დამებედოს—ვარ შენებური—
ყველა ქალაქთა ჭიშკრის შეღება.

1947

ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲣᲠᲯᲘᲫᲔ

ᩮ ᩮ ᩮ ᩮ ᩮ ᩮ ᩮ ᩮ ᩮ ᩮ

აჰა, მოვედი, ჩემო ქალაქო,
შენთვის დავანთე ცეცხლის კოცონი,
შენ, ჩემი ყრმობის მკვიდრო ალაგო,
შენთან ვიყავი მუდამ ოცნებით.

მარად ვმღეროდი საქუთაისოდ,
ხმლისა და კალმის ვიყავ ფარეში...
ახლა კვლავ მესმის სამარადისო
აკაკის ჰანგი მშობელ მხარეში.

მესმის დუდუნი შენი რიონის,
ვარდ-ყვავილების ნელი შრიალი,
შუაღამეა, თუ ალიონი
გუგუნებს შრომის ორომტრიალი.

შენს ცას ღრუბელი ვეღარ მოჩრდილავს,
ქარმა წაიღო როგორც ფოთოლი,
მზემ ცის ტატნობი დაიმორჩილა,
შენს მზეს, დიდებულს, არა ჰყავს ტოლი.

და გმირმა ფრონტზე თუნდ დაიმუხლოს,
შენ მისი წყლულის ხარ გამკურნავი.
მარად „ცაფირუზ-ხმელეთზურმუხტო“,
ჰყვაეოდე ასე გაუხუნარი!

1945.

მაღლაკის ველო, ვრცეულო...

შენს მიწას ვეამბორები, მაღლაკის ველო ვრცეულო,
ერთ დროს ტიალო, ტრიალო... ახლა სიმღერად ქცეულო,
ველო, მტკაველო კი არა, ვრცელო და გულით ზვიადო,
დიდმა გიგანტმა ფესვები შენს მადლიან მკერდს მიანდო.

რა ჩირაღდნები აანთე, რა ძალამ აგაბრდღვიალა,
მანქანამ დაიგრაგანა, თუ ლომმა დაიღრიალა?!.
ელვა საიდან მოვარდა, შუქმა საიდან იალა,
რა სართულები აღმართე, ლამის ცას მისწვდე კრიალას.

ჩემს ინდუსტრიულ ქუთაისს შენ დაუმშვენე იერი,
ჯანი შეჰმატე, გახადე უფრო კარგი და ძლიერი;
შენი გიგანტის პირველ ხმას კრემლის ლაჟვარდიც მიელის,
დაფაროს ფოლადის ხმაური და ბევრი გადამთიელის.

ახალ ხუთწლედის პირმშო ხარ, ქება ხარ ქართლის ქედების,
მალე დააფრენ ავტოებს, მთა და ბარს შემოედები,
დროშად გაშლიან მანდილებს თმებშეეერცხლილი დედები,
შენზე სიმღერამ დაგვღალოს ქართველი შემოქმედები.

დღეს მეც გულღიად ვღალადებ, სტრიქონთან შემომართული,
ირგვლივ გავსცქერი სამშობლოს, ნეტარ ფიქრებში გართული.
მოჩანს გორი და მოსკოვი, რუსთავში ბრძმედი ქართული,
და ქუთაისის შარაზე შენი მანქანა ქარული.

შენს მიწას ვეამბორები, მაღლაკის ველო, ვრცეულო,
ერთ დროს ტიალო, ტრიალო... ახლა სიმღერად ქცეულო,
ველო მტკაველო კი არა, ვრცელო და გულით ზვიადო,
დიდმა ბელადმა გიგანტი შენს მადლიან მკერდს მიანდო!

1946

ჩემი რიონი და ქუთაისი

როგორც აპრილის დილა კრიალა,
როგორც ცვარდაყრილ ვარდთა კრებული,
როგორც მთის წყარო წმინდა, წკრიალა
და ჩანჩქერები აქაფებული,

როგორც მთვარიან ღამეს ურმული,
სალამურების მუსიკალობა,
როგორც ნანინა, აკვანთან თქმული,
და ბულბულების ტკბილი გალობა,

როგორც გმირობა დაუშრეტელი,
ველად გავარდნილ ვეფხვთა თარეში,
როგორც სამშობლოს რკინის კედელი
და გაზაფხული მშობელ მხარეში,

როგორც აკაკი, როგორც ილია,
როგორც ვარდებში მდგარი მაისი,
ისე კარგი და ისე ტკბილია
ჩემი რიონი და ქუთაისი!..

1940 ?

წულუკიძის ძეგლთან

ქარი წეწავდა იმერულ ნანას,
მოშვილდული და ორბის ფრთიანი,
რიონი ტალღას აწვდიდა ტალღას
და ყიჟინს სცემდა, როგორც ფირალი.

სადღაც სარკმელთან სანთელი ენთო
და იღვრებოდა შუქი ხალასი.
შემოგფრენოდა სიკვდილი მებრძოლს
და გაისმოდა კვნესა ნანასი.

ნაარწივალი თვალები თვლემდა,
მზის სხივები და მღერა ისურვე,
ბაგეებს მოსკდა უეცრივ ელვა
და ქარიშხალი ამოისუნთქე.

ახლა მოსულხარ და მხარგაშლილი
გასცქერი სივრცეს თვალმომღიმარე.
ისევ ბუტბუტებს ტალღა ბავშვივით,
ისევ ხმაურობს, ლაღობს მდინარე.

და მეოცნებეს ვერ გამიგია,
შენს სულში ვსახლობ, თუ ძეგლის წინ ვარ.
ძძიბე წარსულის მწუხარე ბინდი
გადაფანტულა სამშობლოს ციდან.

მაშ, ნულარ სდუმხარ, წარბი გახსენი,
როგორ დაგძლიოს ლოდის სიცივემ;
კვლავ სიყვარულით ხალხი გახსენებს,
შემოიბერტყე მხრებზე სიმძიმე.

შემოიმართე კვლავინდებურად,
სჭექე სიმღერა ნარიჟრაჟები.
შემოგცქერიან, გარინდებულან
ჭარმაგნი, ახალ ქვეყნის ვაჟები.

შემოგცქერიან... ვინ დაიჯეროს,
რომ გრანიტშიაც გული არ გიცემს.
გვითხარი რამე ტკბილსასიმღერო,
მაგ ქარიშხლიან რწმენას გაფიცებთ.

გვითხარი რამე... ხედავ ქალწულებს
ჩირაღდნებივით ვარდებს ისვრიან...
ჩვენში რომ ღელავს და რომ ჩქაფუნებს
გამარჯვებული შენი სისხლია.

გვითხარი რამე... ჩონგური მღერის,
შემოგრ ოვილან ირგვლივ ყველანი,
ასე მზრუნველად და ასე ღელვით
თავს გევლებოდა მაშინ ბელადი.

1938 г.

სილოვან ახელედიანი

უცნობი მეგობრებისა წერილზე

თუმც თქვენი სახე მე არ მინახავს,
არც თქვენს ეზოში ვარდის ფურცლობა,
მაინც მიკითხავთ: სად ვარ, ვინა ვარ,
არ დავრჩენილვარ თქვენთვის უცნობად.

ახლა, როდესაც ჰყვავის მაისი,
ველნი სიმწვანით იფარებიან,
გამახსენდება მე ქუთაისი,
სად სიჟაბუკე მიტარებია.

სადაც ვუმღერდი საყვარელ მთა-ველს
და ვული ტკბება ამ მოგონებით,
რომ ჩემს სტრიქონებს წაიკითხავენ
ქართლის ვაჟები და გოგონები.

რომ თქვენც მახსენებთ, ძვირფასნო, მაშინ
და ქუთაისის მწვანე ჰალმებიც,
გაიშრიალებთ ქალაქის ბაღში,
ჩემს ნაცნობ ვარდებს მიესალმებით.

ჩემს ნათელ ფიქრს და ნათელ ოცნებას
არ მოშორდება თქვენი სახებაც,
თქვენი წერილი დაიკოცნება
და ჩემს ლექსებში შეინახება.

ცაზე მოწყდება ბევრი ვარსკვლავი,
და გაჩაღდება ცეცხლი უნთები,
გამარჯვებული მკერდით და მკლავით
მშობელ ქუთაისს დავუბრუნდები.

შემეგებება ქალაქი ჩვენი,
მომეხვევიან და-ძმობილები,
ჩვენ მეგობრები ვიქნებით ძველი
და მაინც ახლადგაცნობილები.

მოქმედი არმია, 1942

ისევ ქუთაისში

თითქოს სიზმარი ვნახე ამ ღამით,—
კვლავ ქუთაისში მიფეთქავს გული;
ისევ ქართული ზეცის კამკამი,
ისევ რიონის ტკბილი დუდუნი.

ისევ ქუჩები დაფნიანები,
ისევ ვარდები და მიმოზები,
ისევ ნაცნობი შავი თვალები,
ისევ ლექსები ქართველ მგოსნების.

ისევ ჭადარი და შადრევანი,
შემოხატული ქართულ ბუნებით,
ისევ ნაცნობი ყურძნის მტევანი,
ისევ მერცხლები და ბულბულები.

კვლავ მშობლიური თბილი ნიავი
აფეთქებული ლერწმის ღერებთან,
ისევ ის სახლი აივნიანი,
ყრმობის სტრიქონებს რომ მიმღერებდა.

კვლავ ის მიდამო მშვიდი და წყნარი,
ისევ ფირუზში მცურავი მთვარე...
და მახსენდება ომის გრიგალი,
როცა ვაღებდით ბერლინის კარებს.

როცა ქვემეხი ბრძოლის გზას შლიდა,
ლაჟვარდს გაჰკვროდა ცეცხლის ალმური,
როცა შაშხანას დაუძმობილდა
ჩემი კალამი და სალამური.

ახლა, როდესაც ქარი ჩამდგარა,
გულისკარს მიღებს მშვიდად ბუნება,
ჭიშკართან მხვდება მშობლის ჭაღარა,
მკოცნის, მილოცავს შინ დაბრუნებას.

მხვდება ქალაქი ჩვეულ ხალისით,
ამღერებული ასე ნებივრად;
არ დამვიწყნია მე ქუთაისი
და არც ქუთაისს დავვიწყებივარ.

1946

ქუთაისის სიყვარული

ხშირად, როდესაც ამოდის მზე და
მშობლიურ სოფლის კალთებს ახურებს,
ვემშვიდობები ჭაღარა დედას
და ჩემს ქუთაისს მოვინახულებ.

მოვალ, რიონის წყალი მწყურია,
ვკოცნი სართულებს ცამდე აყვანილთ,
ყველა ქუჩაზე სიხარულია,
ყველა სახლშია გმირის აკვანი.

მწვანედ შეფოთლილ დაფნებს ჩავუვლი,
გამახსენდება, როცა მათ რგავდნენ,
მერე ალერსით და სიყვარულით
გადავეხვევი ქალაქის ვარდებს.

თვალს გავაკიდებ მაღალ ცის თავანს,
ცეცხლი ედებათ ღრუბლების ტბორებს,
საღამოვდება, ერთი მზე ჩავა
და რიონჰესი ანთებს მეორეს.

ჩამოვისვენებ, ვფიქრობ ამაზე,
ამ ჟრუანტელში გულს რაც მოსურდა:
ამოვირჩიო ერთი ლამაზი
და ქუთაისში ვიცხოვრო მუდამ.

1946.

გელათისადმი

დიადი ძეგლი შეზრდილხარ ფერდობს,
მეფე დავითის მკვიდრო ქმნილებავ!
მყუდროებაში იგონებ ძველ დროს
და ესალმები ქვეყნის ცვლილებას.

ზიხარ მეუფედ მატიანეში,
თვითონ მნათობი უმზერ ცის მნათებს,
და იმერეთის მარადმწვანეში
განდიდებული დღე-ღამეს ათევ.

დაუდექ ერთგულ მცველად სურათებს
განთქმულ მეფეთა და დედოფლების.
იცი, ხვდა წილად ძველად გულადებს
დაცვა მშობლიურ ქალაქ-სოფლების.

იყავი ცოდნის მავრცელებელი,
გეჭირა ხელში წინსვლის სადავე.
შენი მდიდარი სასწავლებელი
იყო ბრწყინვალე სიბრძნის სათავე.

1946

შალვა ლორთქიფანიძე

მ ო გ ო ნ ე ბ ა

ასე მგონია, სიცოცხლით სავსე,
მთვარე დასცქერის ვარდსა და დაფნას,
და ღამით მძინარ ბაგრატის მთაზე
აკაკი უმღერს საყვარლის საფლავს.

დადის, ვით მთვარე, ტკბილ სიმღერებით
აღვიძებს მშვიდად მძინარე ველებს,
მშობლიურ ცისკენ მე ვიხედები
და სიხარულის ცრემლი მასველებს.

ვიგონებ ყრმობის ლამაზ ყვავილებს,
მშობლიურ მთებში რომ გაჰყვა ქარს თან,
ლამაზ გოგონებს ნაირნაირებს
და ჩემს ბავშობას რიონის წყალთან.

ვასო გეგეჭაძე

დიდი სამშობლო რომ ვასახელოთ

საყვარელ დაზგებს თავზე დავხარით,
მეხივით გრგვინავს ჩვენი მარჯვენა,
რომ მოვიპოვოთ კვლავაც ახალი
ქება, დიდება და გამარჯვება.

რომ მუდამ ასე შუქდაისრული,
გუგუნით ქარხნის ხმა გრიალებდეს,
რომ მანქანები ქუთაისური
კიდით-კიდემდე დასრიალებდნენ.

ო, სხვა დიდება კიდევ სად არის,
ქვეყნის შენებას მიჰყვე ბოლომდე,
წინ მიგიძღოდეს ბრძენი სარდალი
და მუდამ წმინდა გრძნობით შრომობდე!..

მამული ჩვენი მზით დაიქარგა,
ელვარებს ჩვენი წმინდა ალაგი,
ქუთაისელო, გახსოვდეს კარგად,
შენგან რას ელის ჩვენი ქალაქი.

ქუთაისელო, შენ გესმის, ვიცი,
ჩვენ ვაჟკაცობა გვინდა ქებული,
რომ შევასრულოთ ხუთწლედის ფიცი,
სამშობლოს მიერ დამტკიცებული.

არ დაივიწყო მშობელო ხალხო,
პირობა, ქვეყნის გულთან მისული,
რომ მომავალ წელს სამშობლომ ნახოს,
პირველი ავტო ქუთაისური.

გზა გაგვინათოს მნათობთა გუნდმა,
ვიცოცხლოთ ქვეყნის გულგასახარად,
თქვენ, მშრომელებო, გახსოვდეთ მუდამ,
თუ რას მოითხოვს ჩვენი ქარხანა.

მალე ზეიმით დაიფარჩება
ლაჟვარდი, მუდამ ასე ფერადი,
ჩვენს ამ გმირობას, ამ გამარჯვებას
ღიმით შეხვდება დიდი ბელადი.

1946

გ ზ ა ზ ე

მე გამივლია ეს გზა ოდესღაც,
მაშინ ჯერ კიდევ ვიყავ პატარა.
ბედმა ლაღმა და უსათნოესმა,
ახლაც აქეთკენ გამომატარა.

მაგრამ აქ დღემდე მე არ მინახავს,
არც ეს შენობა, არც ეს ბაღნარი,
გულში სიმღერა სხვა დაიბადა,
თავზეც სხვაგვარი ზეცა დამხარის.

ყრმობის ტოლები გზად შემხვედრიან,
ყრმობის დღეები აქ მეგულება,
თითქოს მშობელი დედის მკერდია,
ისე ხალისობს ირგვლივ ბუნება!

სხვა დილა არის, სხვა რიჟრაჟობა,
სხვა გაზაფხულის შუქი ქებული.
წინ შემეგება ჩემი ბავშვობა,
ჩემი დანახვით გახარებული.

ეხარობ!.. აქამდე აქ არ ყოფილა
არც ეს გიგანტი, არც ეს ვარდები.
გულმხიარულად და კმაყოფილად,
მე კვლავ ამ გზაზე მივემართები.

1946

ქუთაისის დილა

როს იელვებენ სხივთა მარჯნები,
თითქო ლაჟვარდში ოქრო უღვრიათ,
როცა სიმღერით და გამარჯვებით
დგება რიჟრაჟი, ასე გულღია.

როცა ანთებულ დილის მნათობებს,
დააბრწყინდებათ თვალზე ნათელი,
მე ჩემს წიგნებს და ოთახს დავტოვებ
და ქალაქისკენ გავემართები.

ქუჩებს ალაღებთ შუქი დაღვრილი,
ალამპრებულან სხივთა ბარაქით,
ფერად ვარდებში ბრწყინავს აპრილი
და მშობლიური ხარობს ქალაქი.

აქ ხომ გმირობის უკვდავ თავდებად,
მკერდი გაშალა მიწამ ახალმა,
აქ მხრებს იმაღლებს და დუღაბდება
ქუთაისური ავტოქარხანა.

გასაოცარი და საკვირველი,
მალე იელვებს ავტო ქართული,
მალე გაჩნდება ავტო პირველი,
ქართულ წარწერით ფარშემართული.

აი, განთიადს სცვივა მარჯნები,
გულში უშრეტი ბრწყინავს ხალისი,
აი, დიდებით და გამარჯვებით,
განახლებული დგას ქუთაისი.

რუთა ბერძე

ჭადრის ბაღთან

დღეს ყვავილების ქვეყანაში ვარდის ფიალით
დავდივარ და ვსვამ ბუტკოების უტკბილეს შარბათს,
აოცებს გულსაც უსაზომო, მძლავრი ტრფიალი,
მშობლიურ ქალაქს შეწირული ესოდენ ჭარბად.

მომნატრებია შუაღამის მთვლემარე წამზე
მდუმარედ, უხმოდ ჩავუაროთ ბაგრატის ზღუდეს,
მერე ჩამოვსხდეთ ჭადრის ბაღში არჩეულ სკამზე,
როს თეთრი სახლის ჩუქურთმების მზერა მოგვწყურდეს.

გახსოვს ის სახლი პაწაწინა, აივნიანი,
სამრეკლოს ბნელი ქონგურებით იმ ქუჩის ზღურბლზე?
ვით ძველი ქვეყნის გზაამცდარი ადამიანი
იდგა მოწყენით და სევდის ჩრდილს გვაყრიდა შუბლზე.

ახლა ვუცქიროთ თეთრ ტაიჭზე ეკლარის ჭაბუკს,
ვარსკვლავთა ისრებს რომ უხვედრებს ჩუქურთმის ფარებს,
ჯიბრზე რომ აყრის დასაჩრდილად სხივების ქარბუქს
ფოთოლთა შორის მიმალული ფერმკრთალი მთვარეც.

მოდი, ჩამოვჯდეთ ჭადრის ბაღში არჩეულ სკამზე,
ვუცქიროთ ფრიალს ჩუქურთმიან სახლის ალმისას,
ვუცქიროთ ერთად დიდხანს, დიდხანს მთვარის კამკამზე
ნამდვილ მზეჭაბუკს ქუთაისის დღის და ღამისას!

1947

ახალგაზრდა ქუთაისი

რაღაც სითბო მშობლიური, რაღაც სხვებზე საყვარელი
ჩაქსოვილა ამ ქალაქში და ოცნებას ალამაზებს,
გული, როგორც ძვირფას განცდის საუყაული-აკვარელი,
აღტაცების მძლავრი ფიქრით გაგიტაცებს ზურმუხტ გზაზე.

შორს სვანეთის მთებს გახედავ, აქ ბესიკის ბაღია-ბაღებს.
ძველ ნერგებზე ამოყრილი ქორფა ყლორტით დამშვენებულს;
წერს ქალაქი მატიანის ახალ ფურცლებს და თაბახებს,
თან ინახავს ტაძრის ქონგურს, ბაგრატ მეფის აშენებულს.

რიონს მიაქვს მძიმე ტვირთი, საღორიის ტყეში დამფრთხალს,
ახალ ხიდსაც ქედს მოუხრის, მორჩილია ახლა მისი.
განახლებულ დღეთა ქროლვას და მომავალს ეტრფის ახალს
წინაპართა ყადრის მცოდნე, ახალგაზრდა ქუთაისი.

არხევს სიო გადმოფენილ მოლივლივე დროშის ფარჩებს,
იმ უბანში, ამ უბანში ჩუმ შრიალში მუდამ ისმის:
ხალხის ნების, მისწრაფების გამომსახველს ამოარჩევს
ჩვენი დიდი საკრებულოს დეპუტატად ქუთაისი.

1946

შალვა ფოფონიძე

ქ უ თ ა ი ს ი

ჩვენ მისი ვაშა იქაც გვსმენია,
ცხრა მთას იქეთ რომ მ ჯერს ვიგერებდით;
ლამაზი კუთხე ქვეყნად ბევრია,
მაგრამ სად არის სხვა იმერეთი!

განა სიცოცხლის ფა'ად არა ღირს
მისი ჭალარა, მისი მაისი?
ქვეყნად ბევრია კარგი ქალაქი,
მაგრამ სად არის სხვა ქუთაისი!

დღეს მისი ფუძე ათასწლოვანი,
ათასჯერ უფრო მხნეა და საღი,
ჩემი ქალაქი სწორუპოვარი,
განათებული აპრილის ბაღი.

„ოქროს ჩარდახი“ რა არის ახლა?
სხივმოფენილი სხვა დარბაზები,
მიწის პირიდან იმ მთებზე მაღლა
დგებიან, როგორც ბუმბერაზები.

შემოდის მშვიდად ეს დღე ახალი,
ყვავილთ ფერებით ბაღს ალამაზებს
და წულუკიძის ძეგლი მაღალი
მზეს ესალმება საყვარელ ცაზე.

აგერ აკაკიც, ჭალაროსანი,
გულში უნთია ფიქრი კოცონად,
ქალაქის ბაღში ბრძენი მგოსანი
ზის, ვით ამაყი მთების ოცნება.

ვინ არ უმღერა ამ სავსე ბალნარს,
შუქგადაფენილს ყოველი კიდით...
გახედე, თვალო, გამოღმა, გაღმა
ფერად-ფერადი გზაა და ხიდი!

გვზრდიდა ამ კუთხის ქარი ძლიერი,
მისი მზე, მისი დილა რძიანი...
ამ თბილ მიწაში წევს გურიელი,
ლექსით დამწვარი ადამიანი.

რიეტრაეზე მუდამ ხალისით სავსე
ქუჩებს აღვიძებს სიცოცხლის ძალა...
დგას ხავსიანი ტაძარი მთაზე
და ქუდმოხდილი დაჰყურებს ქალაქს.

1946 г.

ჩემი ქალაქი

ჩემი ქალაქი, უძველესი კერა მგოსნების,
დაბადებიდან შემიყვარდა, როგორც დედილო,
მე ყოველ მის ბუჩქს, ყოველ კუთხეს ვესხივოსნები
და მსურს ლექსების ნიაღვარად გადმოვედინო.

ბაგრატის ტაძარს რომ შევყურებ პოეტის თვალით,
მინდა ამ ბეჭერ გოლიათის აგური ვიყო,
ოღონდ მიწოდონ მისი კედლის დარაჯთაგანი,
ჩემი სიცოცხლე თუნდაც ახლავ დაკარგულიყოს.

არ მინდა ღვინო, არ ვარ ლოთი, ყარაჩოღელი,
მე ქუთაისის მაისობით ისეც ვითვრები,
ამ ქვეყანაზე მისთვის გავჩნდი, მისთვის მოვედი,
რომ მხოლოდ მითხრან: ქუთაისის მკვიდრად ითვლები.

ბევრი მინახავს ქალაქები, დაბა, სოფლები,
ცათამბჯენები, შადრევნები, ბჭენი გარნისის,
არც ერთი არ მსურს, ქუთაისში მექნეს საფლავი,
მიწა მეყაროს მშობლიური მე ქუთაისის!

1946

გამხმარი ლელვის ხე

ბაგრატის ტაძრის ქონგურზე

ეგ ნორჩი ლელვი ქონგურზე, ნეტავ,
ვინ აიტანა თავისი მხარით?
გვითხარ, ლოდების დამცხრალო ფეთქვავ,
გვითხარი!..
ვინ აიტანა, ნეტავი, ვინა,
ასე მტოკავი და ელვისტანა,
ვინ გაუკეთა ქონგურზე ბინა,
ნეტავ, ქონგურზე ვინ აიტანა?
იქნებ ხელები ადამიანთა
არც უგემნია დასაფიცარი,
ალმართში თვითონ ამოიმართა,
თვითონ მოძებნა დიდი ტაძარი.
თვითონ მოძებნა, ჰქონდა ფარული
მიზანი, ღონეს რომ წააჯობა:
არც შეფიქრება, არც სინანული,
მოიწადინა თვითონ ტაძრობა.
მოიწადინა დიდება მისი,
ვინაც ცისკარობს, არ სწამს დაისი,
გადაუყრია მხრებიდან ნისლი,
დაუფლებია მარადისობა.

ეგ ნორჩი ლელვი ქონგურზე, ნეტავ,
ვინ აიტანა თავისი მხარით?
გვითხარ, ლოდების დამცხრალო ფეთქვავ,
გვითხარი!..

1947

ლირიკული მისალმება ქუთაისს

გესტუმრე, ამღერებულო, შენი მემკვიდრე ხალისით,
ლექსებით შესამკობელო, განთქმულო სიდარბაისლით...

მე მიყვარს შენი ცის თაღი, მთვარისგან გულდაფერილი,
მე მიყვარს შენი რიჟრაჟი, მტრედივით წამოფრენილი,

მე მიყვარს შენი რიონი, მისი ტალღები კრიალა,
ჩონგურზე დაფიცებული და ჩონგურივით წკრიალა.

გეწვიე, ამღერებულო, შენი მემკვიდრე ხალისით,
ლექსებით შესაქებელო, განთქმულო სიდარბაისლით!..

1945

პირველი მანქანა

ჭრელჭვერდა ქვები, ბედაურთა ნაფეხურები,
საურმე გზები, ოღროჩოღრო გზაზე ნახირი,
ძველი მუხები და ტოტები დაბლა დახრილი,
და განთიადზე აფრენილი მოლაღურები.

ფერდჩალეწილი მოქრიალე ზანტი ურემი,
ყანაში გლეხი, მიმუშავე, ოფლგადაღვრილი,
ფხვიერ მიწას რომ ვერ ართმევდა ჯაფის საღირალს,
და მარად ადგა სოფელს შავზე-შავი ღრუბელი.

ეს იყო წინათ დღეს შენდება ავტო-ქარხანა,
იბრძვიან მედგრად, გიშრის თვალებს აბრიალებენ,
იციან ნაყოფს მიიღებენ ერთი-ასადა.

და როცა მინდვრად მზის სხივები დადნება ქარვად,
აგრიალებულ ქუთაისურ პირველ მანქანას
მე და ბაბუა უნდა გავყვეთ უცილოდ ქალაქს!

1947

მამია გურიელი ქუთაისში ხუთი წლის შემდეგ

ხუთი წლის შემდეგ ისევ გეწვევი,
გული ვერ მალავს ქვეყნად რაც ხდება,
შენ დაგშვენდება ზღვა შადრევნები,
მე კი ჭაღარას კვლავ აღტაცება.

ჩამოვალ, ვნახავ უცნობ ბინადრებს,
ცადაზიდული დგანან დაფნები.
ქუჩას ვერ ვიცნობ, სახლს ვერ მივაგნებ
და ამ დიდ ბაღში დავიკარგები.

აქ სადღაც ჩემი ეზოც მეგულვის,
ჩემი კაცობით წლებდანათოვი.
გადავჭრი ქუჩას დაექვეებული,
— ეს ბალახვანის ქუჩაა მგონი!..

შემდეგ წამიყვანს ისევ ფიქრები,
როს ცვარს შევამჩნევ ფოთოლს ღილივით,
— ქუთაისია?—ხალხს ვეკითხები.
— დიახ, მომიგებს ბავშვი ღიმილით.

დამაკვირდება, გაღიმებული
გზას დავადგები კვლავინდებურად,
ქუთაისია გასხივებული,
ასე გაზრდილა, გადიდებულა!

ცას გავსძახებ და ნაცნობ ბინადრებს,
გამიღიმებენ ნაზი ვარდები.
ქუჩას ვერ ვიცნობ, სახლს ვერ მივაგნებ
და ამ დიდ ბაღში დავიკარგები!

1946

მშობლიურო ქუთაისო!

ჰყვავის ბარი, ჰყვავის მთები,
შენი მიწა მზით გაივსო,
იზრდები და ვაჟკაცდები,
მშობლიურო ქუთაისო!

დღეს რიონი უფრო ლხინობს,
ნოდის ქართულ საკრავებით,
რომ კვლავ უფრო გააბრწყინოს,
რიონჰესის ვარსკვლავები.

ქარი მღერის იავნანას,
აქ აკაკის დადის ჩრდილი,
ირგვლივ მთები ისე დგანან,
როგორც ხმლები ამოწვდილი.

ჰყვავის ბარი, ჰყვავის მთები,
შენი მიწა მზით გაივსო,
შენ ყოველდღე ვაჟკაცდები,
მშობლიურო ქუთაისო!

რა სჯობია შენს შლილ ბაღებს,
ლურჯ აპრილის ნაზ იანებს,
შენ ბელადის მზე გალაღებს,
მისი ზრუნვა გამზიანებს.

რა სჯობია შენაქუჩებს,
შენს სიყვარულს, გულში მნათობს,
აყვავებულ ლამაზ ქუჩებს,
იმერეთის ვარდით ნათობს.

შენ შეგხარის ხანდაზმული,
გელათი და მოწამეთაც,
მაგ დიდების, მაგ წარსულის
ივარგებენ მოწამეთა.

ათბობს ტაძარს შენი სხივი,
გაუტეხავს ბებერ გულით,
ცა ახურავს კალმახივით
ვარსკვლავებით მობატული.

შენი ბარი, შენი მთები
მზის ნათელით ამოიავსო,
შენ ყოველ დღე ვაქაცდები,
მშობლიურო ქუთაისო!

1946.

აკაკის ქანდაკება ქალაქის ბაღში

თითქოს ფირუზ ცას ვერ დაემალა
და სიყვარული ეძახის მისი,
მთაწმინდის მიწას გამოეპარა,
კვლავ ვეღარ დათმო მან ქუთაისი.
ჩამჯდარა ბაღში თვალსხივოსანი,
თეთრ სავარძელში დავერცხლილ თმებით,
კვლავ ჩემს ქალაქში ბრწყინავს მგოსანი
ქართულ ლექსების აჩირაღდნებით.
ფოთლებიც უსმენს მის ნაზ სიმღერას,
გარშემო შლიან ვარდები გულებს,
მგოსნის ქვის მკერდიც აღარ სწყვეტს ჟღერას,
ყელს ტკბილ ლექსებით ასალამურებს.
მაგრამ სწყინდება ქვის სავარძელი
და ქუთაისში გავლა უნდება.
ამბობს: „აქ ღამეც იცის ნათელი,
აქ ლაჟვარდები არ გახუნდება“.
და როცა ღამე მოვა ნარნარად,
რიონის შუქი დაიწყებს ლივლივს,
აკაკი სტოვებს სავარძელს წყნარად
და აყვავებულ ქუჩებს დაივლის.
გათენებამდე დადის სიამით,
უკან დაჰყვება მისივე ჩრდილი.
პოეტი დადის ქალაქში ღამით,
დაუბრუნდება სავარძელს დილით.

1945

საუბარი თეატრის კედლებთან

როცა მეფდება ღამე ზვიადი,
ქალაქის შფოთვა როცა დუნდება,
ნათელმოსილი ჩემი თეატრის
მუნჯი კედლები მესაუბრება:
—საით, ჭაბუკო, შესდექ, შეჩერდი,
გვინდა გაგანდოთ ფიქრი ნათელი,
გესაუბრებით ძველი კედლები—
ქართულ თეატრის გოლიათები.
შენ როდი გახსოვს... იცი? აქ ჰქუხდა
ლადოს ბაგენი ალმოდებული.
ის რომ დავკარგეთ, როგორ დამწუხრდა
ეს ჩვენი სცენა დაობლებული!
დღეს მოგონებით ჩვენ გულს გადავშლით,
ახლაც ვინახავთ იმათ ყიჟინსა.
აქ წაეკიდა ცეცხლი ღალადით
გრძნობად დაღვარულ მარჯანიშვილსა.
მათი სახება დღეს არ არსებობს,
სახელი დარჩათ ცამდე აშლილი...
მოდით, ჩვენ გეტყვით, ახალგაზრდებო,
როგორ იწვოდა იმედაშვილი.

გათენებამდე ასე გულნაისრ
ჰყვებიან ამბებს დაფიქრებულად...
სძინავს მიდამოს, სძინავს ქუთაისს,
მე კი კედლებთან გავფითრებულვარ.

1946.

სერგო ჭეიშვილი

ჩემო ქალაქო!

ბედის ვარსკვლავი შენს ლაჟვარდში ამიკაშკაშდა,
ჩემმა ოცნებამ შენს თაღებქვეშ ფრთები აისხა,
მე ქაბუკობა ამ წალკოტში დამივაჟკაცდა
და საქართველო შემაყვარა შენმა მაისმა.

შენ, უნაზესი გაზაფხულით მხიბლავდი ბალღსაც,
მათრობდა შენი უცნაური ფერი და სიტკბო
და როს ზამთარი იუფლებდა თვალწარმტაც ბაღნარს,
შენ მაშინ ჩემთვის სასოებით მოგქონდა სითბო.

მე მიყვარს შენი წარსული და შენი მყობადი,
შენი ტყემლების და ატმების ყვავილთ ფანტელი.
მიყვარს შენს ბჭესთან აღმართული ხვამლის ხოშალდი
და შენი ზეცა ვარსკვლავებით მუდამ ნათელი.

შენი გმირობა კვლავ რომ ახსოვს რომს და ელადას,
არ დაიკარგა უშედეგოდ და უბარაქოდ,
რადგან ძარღვებში ჩაგიყენა სისხლი ბელადმა
და სიქაბუკე კვლავ გეწვია, ჩემო ქალაქო!

1946

ს ა რ ჩ ე ვ ი

გიორგი სამხარაძე, მიხეილ ალავიძე —

ქუთაისი ქართულ პოეზიაში (წინასიტყვაობა)

აკაკი წერეთელი 1
ვაჟა-ფშაველა 6
ვახტანგ ორბელიანი 7
მამია გურიელი 8
გიორგი ჭალადიდელი . 10
სილოვან სუნდაძე 12
გალაკტიონ ტაბიძე 17
იოსებ გრიშაშვილი 20
დომენტი თომაშვილი . 23
ვალერიან გაფრინდაშვილი 27
გიორგი ლეონიძე 32
ილო მოსაშვილი 33
რაჟდენ გვეტაძე 34
ვარლამ რუხაძე 38
კონსტანტინე ჭიჭინაძე 39
ლადო ბზვანელი 42
გიორგი ქუჩიშვილი 43
ალიო მირცხულავა 46
კოლაუ ნადირაძე 47
ალექსანდრე ქუთათელი 52
ხარიტონ ვარღოშვილი 54
იოსებ მჭედლიშვილი 57
დავით გაჩეჩილაძე 58
მიქელ პატარიძე 60
შალვა ჩარკვიანი 62
კალე ბობოხიძე 64
ვარლამ ჟურული 66
გიორგი კაპახიძე 68
ალეკო შენგელია 69
იოსებ ნონეშვილი 71
სევერიან ისიანი 72
ლადო ასათიანი 78
ბონდო კეშელავა 80

გიორგი გიასელი	82
მაყვალა მრევლიშვილი	89
ვლადიმერ გუგუშვილი	92
ანდრია სანი	93
ზურაბ ლორთქიფანიძე	96
არჩილ გურჯიძე	98
გრიგოლ იმედაძე	101
სილოვან ახვლედიანი	103
დავით ცაგარელი	107
შალვა ლორთქიფანიძე	108
ვასო გვეტაძე	109
რუთა ბერიძე	113
შალვა ტოგონიძე	115
მიხეილ კაკიტელაშვილი	117
დომენტი ახობაძე	118
შოთა ნიჟარაძე	120
დავით ხუროძე	122
ოთარ მამფორია	125
სერგო ჭეიშვილი	126

Грузинские поэты о Кутаиси

(на грузинском языке)

Изд. газ. „Индустриули Кутаиси"

Кутаиси

1947

ტექრედაქტორი: ა. იაშვილი

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/X 47 წ., წიგნის ზომა 6x9, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 9.

ტირაჟი 5.000 შეკვეთის № 5694 უე 07833

* *

გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისის" სტამბა, ქუთაისი, ლ. ჰ. ბერიას ქ., № 9.